


ფასი 25 კაპ. | ნოემბრის 30. | 1924 წ. № 16 (19)



ვანო სარაჯიშვილი
(1880—1924)

ფოტოგრ. ე. ჟვანიასი.

# მკითხველთა და თანამშრომელთა საყურადღებოდ

I. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ თავისისი არსებობის მეთხუთმეტე (XV) წლის დახაწყისში გამოდის განახლებულის იერით, სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობით. სარედაქციო კოლეგიაში შედიან (ანბანთა რიგზე): 1) ახნაზაროვი არ., 2) ბუხნიკაშვილი გრ., 3) ვარაზაშვილი ის., 4) თევზაია ბიქ., 5) იმედაშვილი იოსებ (რედაქტორი), 6) ოლანეზაშვილი ალ., 7) ღვინიაშვილი ანნა, 8) ჩოდრიშვილი მიხ. და 9) ციმაკურიძე ალ. თანამშრომლებად მოწვეული არიან დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები;

II. ჟურნალის მიზანია: ა) მიუდგომლად და სისწორით აღნიშნოს ყველა ის მუშაობა, რომელიც წარმოებს ხელოვნების (განსაკუთრებით ხალხურ თეატრის), მწერლობის და, საზოგადოთ, კულტურის სარბიელზე როგორც საქართველოში, ისე მეზობელთა შორის და უცხოეთში; ბ) ყოველგვარი კულტურული და სახელოვნო ნამუშევარი შეაფასოს; გ) ხელი შეუწყოს ყველა ხელოვანთა და კულტურულ მუშაკთ აღნიშნულ მიზნის მისაღწევად და სხ.

III. ყოველკვირეულად გამოვა სურათებიანი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, ხოლო სამ თვეში ერთხელ სარეპერტუარო პიესების კრებული. „ცხოვრების სარკე“.

IV. ზემორე დასახელებულ მიზნის მისაღწევად რედაქცია სთხოვე ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენის ხელოვნების, მწერლობისა და კულტურულ წინსვლისათვის, სისტემატიურად მოგვაწოდოს: ა) სად, რომელ დაბა სოფელისა და ქალაქში რაგვარი სახელოვნო-საკულტურო მუშაობა სწარმოებს (სახალხო თეატრთა, სახალხო სახლთა თუ კლუბთა აშენების, სცენისმოყვარე-მუშაკთა მოღვაწეობის, სკოლის გარეშე განათლების და სხ. დარგში); ბ) ზემოხსენებულ მუშაობას ვინ, რა გეგმით და წესით აწარმოებს, რა ღირსება და ნაკლი აქვს; გ) ამა თუ იმ საქმეს სახელმწიფო საზოგადო დაწესებულება თაოსნობს, კერძო პირი, ამხ-ბა თუ სხ.

V. ჟურნალისა და კრებულისათვის მოგვაწოდონ შესაფერი მასალა (რეცენზიები, მიმოხილვა, პიესები, სცენები და სხ.).

VI. ადგილობრივი მუშაობის შესახებ ყოველგვარი ცნობა სიმართლით აღნიშნონ, ფაქტების დაუმახინჯებლად, და ისე მოგვაწოდონ,

VII. ყოველი მასალა უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ მხარეზე, გარკვევით და ფსევდონიმის გარდა (თუ კი ვინმე ფსევდონომით ისურვებს წერვას) აღნიშნულ უნდა იქნეს ავტორის ვინაობა. ხელმოუწერავი წერილები არ დაიბეჭდება.

VIII. ყოველი წერილი საჭიროებისამებრ შემოკლება და შესწორდება.

IX. ყველა დაბა სოფლის თეატრის შესახებ ისტორიული მასალა მოგვაწოდონ (სად, რომელ სოფელში, როდის რა პირობებში ვისგან დაიწყო სასცენო-სათეატრო მუშაობა). სასურველია ამა თუ იმ თეატრის დამაარსებელთა და სულისჩამდგმელთა სურათები, აგრეთვე შენობის აღწერ -ნახატები და სხ.

X. ყველა ავტორმა ანუ გამომცემელმა, რომელსაც სურს მისი ნაწარმოების განხილვა მოთავსდეს ჟურნალში, რედაქციას თითო ანუ ოროლი თანა წიგნი, ჟურნალი თუ სხვა გამოცემა უნდა გამოუგზავნოს.

---

**სახელმწიფო ოპერის თეატრი**

წარმოდგენა № 1.

**ორშაბათს, დეკემბრის 1-ს 1924 წ.**

ი. გედევანიშვილი

## მსხვერპლი

დრამა 3 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან,

**მონაწილეობენ:** აბაშიძე ტ., ანდრონიკაშვილი ელო, ანკარა ს., ივერელი ალ., ნინონი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ჩხეიძე ნინო, ადამიძე ვ., არაბიძე ვ., ანდრონიკაშვილი კ., ბალანჩივაძე ვ., გამყრელიძე ვ., გელოვანი მ., გომელაური ზ., გოცირიძე ნ., (რესპუბლიკის ს. ხალხო მსახიობი), დგებუაძე ალ., იმედაშვილი ალ., კობელი ვ., მამულაიშვილი ნ., მატარაძე ვ., მიქაბერიძე კ., ჟივიძე ი., რომანიშვილი ი., საფაროვი ზ., ფრონისპირელი გ., ჭიაურელი მიხ. და თანამშრომელნი.

**დადგმა ალ. წუწუნავასი:**

**ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავისა.**

ადგილების ფასები 30 კ.-დან 2 მ.-მდე. მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასის გამგე ალ. იმედაშვილი.**

---

## ქართული დრამა

**მსახიობთა ამხანაგობა**

**1924—სეზონი—1925**

**ქალები:** აბაშიძე ტ. (დამსახურ. მსახიობი), აბაზაძე ე., აბელიშვილი ან., ანდრონიკაშვილი ელო, ანდრონიკაშვილი ქ., ანკარა ს., ივერელი ა., ნინონი ნ., რონელი ბ., ქილარჯიშვილი მ., ქიქოძე ა., ჩერქეზიშვილი ელ. (დამს. მსახ.), ჩხეიძე ნინო (დამს. მსახ.).

**ვაჟები:** აბაშიძე ვ. (რესპ. სახ. მსახიობი), არაბიძე ვ., ადამიძე ვ., ბალანჩივაძე ვ (დამს. მსახიობი), გამყრელიძე ვ. (დამხ. მსახ.), გელოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ა., დგებუაძე ა., იმედაშვილი ა., კობელი ვ., მამულაიშვილი ნ., მამფორია ი., მატარაძე ვ., მიქაბერიძე კ., ჟივიძე ი., რომანიშვილი ი., საფაროვი ზ., ფრონისპირელი გ. ჭიაურელი მ.

**რეჟისორები:** ანდრონიკაშვილი კ. და წუწუნავა ალ.; მოკარნახენი: მგალობლიშვილი ა., ცაბაძე არ., მხატვარი სიდამონ-ერისთავი ვალერიან, სამხატვრო ნაწილის გამგე ანდრონიკაშვილი. რეპერტუარი: „კაცის სამართალი“—ნ. ნაკაშიძე, „სტუმარ-მასპინძლობა“—ტ. რამიშვილი, „პაატა ბატონიშვილი“—დ. ნახუცრიშვილი, „გუშინდელნი“—შ. დადიანი, „სამანიშვილის დედინაცვალი“—დ.—შ. შარაშიძის ინსცენირობა, „მეფე ლირი“—უილ. შექსპირი, „კაენი“—ბაირონი, „დანტონი“—რომენ-როლანი, „კრაზანა“—ვოინიჩი. **დასის გამგე:** იმედაშვილი ალ.,

# თეატრი და ცხოვრება

1910—1924

წელიწადი XIV

№ 16 (19)

ფასი 25 კ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის მისამართი: ყოფ. ქართული თეატრი—სასახლის ქ. № 5, „ახალ კლუბის“-ს ეზოში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | ნოემბერი 30 | გამოცემა 1924 წ.


## სადღეისო

**ახალი გზით**

უნებურად შეჩერებული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ დღეიდან კვლავ გამოდის,— ძველებურის ხალისით, ახალის გზით.

და როგორც დღემდე, დღეის შემდეგაც ჩვენი მთავარი მიზანი იქნება მშრომელ ხალხთან ერთად ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობა:

ხელოვნების ცხოვრებასთან დაკავშირება, ცხოვრების ხელოვნების ჩარჩოებში ასახვა.

ამისათვის ჩვენ ერთნაირის ყურადღებით მოვეპყრობით ხელოვნების ყოველი დარგის გაშუქებასა და სიტყვა-კაზმულ მწერლობის სამსახურს.

ჩვენის ჟურნალის არსებობის მეთორმეტე წლის მიწურულს დიდებულ ხანაში გვიხდება მუშაობის განახლება,—

რევოლიუციის მიერ დამხობილ ძველი წყობილების ნანგრევებზე ახალი ნერგის დამყნობა.

მშრომელი ხალხი დღედადღე ამკვიდრებს თავისი ხელისუფლების საძირკველს როგორც ნივთიერს, ისე სულიერს:

სწარმოებს ნგრევა-შენება.

ამ ნგრევა-შენებაში ხელოვნებას უდიდესი ადგილი უკავია.

ჩვენი ჟურნალი მთელი თავისი ძალღონით ხელს შეუწყობს არსებულ ხელისუფლების საალმშენებლო მუშაკობას, ხელოვნების დარგში; ფხიზლად უდარაჯებს, რათა ხელოვნების სხივები ფართედ მოეფინოს სრულიად საქართველოს ყოველ კუთხეს...

ჩვენ თვალწინ სწარმოებს დიდი ბრძოლა ჩვენს ხალხში უცოდინარობისა და სიბნელის მოსასპობად.

ჟურნალი ამ მხრივაც ეცდება განათლების ყოველ დარგის მუშაკთ ხელი მოუმართოს.

უკანასკნელი ათეული წლის შფოთიანმა ამბებმა ჩვენი ხალხის დიდი უმეტესობა ჭირის ოფლში გამოატარა, თითქოს სულიერად დასთენთა, გაათგნა და ყოფნა არყოფნის აჩრდილი დაუყენა თვალწინ,—

სწორედ ამიტომ ჩვენი ჟურნალი ფართე ადგილს დაუთმობს ისეთ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებს (მოთხრობებს, ლექსებს და სხვ.). რომელიც ხელს შეუწყობს ამ სულდაცემულობის გაფანტვას.

დღევანდელი სახელოვნო-სამწერლო მუშაობა იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ცხოვრება ბუნებრივ კალაპოტში ჩადგება და სულიერად მოქანცული ადამიანი გახალისებულის მისწრაფებით შეუდგება ახალ ცხოვრების სწორე გზას.

ჩვენი ხელოვნება, მწერლობა და საერთოდ კულტურული საქმიანობა გარეშე მეზობლებისა და უცხო ერთა ნაყოფიერად ვერ იწარმოებს, ამიტომ ჟურნალი დიდს ყურადღებას მიაქცევს როგორც მეზობელთა, ისევე უცხოეთის სასცენო-სახელოვნო და სამწერლო შემოქმედებას.

ჟურნალში ფართე ადგილი ექნება დათმობილი როგორც დამსახურებულ, ისევე ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებთ და, შეძლებისა-და გვარათ, ყოველგვარ მიმდინარეობას, თუ კი იგი იქნება ჭეშმარიტი ნიჭით მირონცხებული.

ჟურნალის დონის კიდევ უფრო ასაწევად რედაქციამ დამსახურებულ მწიგნობარ-ხელოვანთაგან შეადგინა სარედაქციო კოლეგია, რომლის წევრთ მინდობილი აქვთ ცალ-ცალკე განყოფილება და ყოველგვარი ნაწარმოების კრიტიკულ დარჯაკში გატარება.

ჟურნალი როგორც დღემდე დღეის შემდეგაც გამოდის ყოველგვარ სუბსიდიის გარეშე, მხოლოდ მკითხველთა და ხელისმომწერთა შემოსავლით, აგრეთვე შემომწირველთა თანაგრძნობით.

ჟურნალის რედაქცია დარწმუნებულია როგორც დღემდე, დღეის შემდეგაც მშრომელი ხალხისა და მშობლიურ ხელოვნება-მწერლობის აყვავების მონატრე საზოგადოების თანაგრძნობა არ დააკლდება.

ამ რწმენით ვიწყებთ განახლებულ მუშაობას.

# თეატრის განახლებისთვის

რატომ ხდება, რომ დღეს, დიდი სოციალური ქარტეხილის შემდეგ ჩვენ ასე მწვავედ ვგრძნობთ ახალი თეატრის მოთხოვნილებას? საზოგადოთ ჩვენი სულის ემოციური შინაარსი შეიცვალა, დღეს ის არ ვართ, რაც გუშინ ვიყავით, ჩვენ გვინდა, რომ ხელოვნებამ გამოჰხატოს ეს ცვლილება, მაგრამ არსად არ ვგრძნობთ ისე მძაფრად ამ შეუსაბამობას ახალ შინარსსა და ძველ ფორმებს შორის როგორც თეატრში. ჩვენ ხშირად გულგრილად გამოვდივართ მხატვრულ გამოფენიდან ან გალერეიდან, პროტესტს არ ვაცხადებთ, რომ კონცერტებზე ბახის, ბეტჰოვენის ან შოპენის მუსიკალურ პიესებს გვთავაზობენ. ქუჩაში სიარულის დროს ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქალაქების არქიტექტურა მახინჯია, რომ სხვა და სხვა სტილის შენობები არეულია სრულიად უსტილო და ულაზათო ყაზარმებში. ხოლო თეატრი ჩვენ გვაღელვებს: ჩვენ ვკამათობთ თეატრალურ პრობლემებზე ისეთივე გაფთრებით როგორითაც რელიგიურ ეპოქებში სარწმუნოების პრობლემებზე კამათობდნენ, და სექტებათ ვითიშებით საშუალო საუკუნეების ადამიანებივით.

ეს იმიტომ ხდება, რომ თეატრი ერთგვარი კრებულია, ერთგვარი ეკკლესია რომელიც ჩვენს ირრელიგიურ ან, უკეთ ვსთქვათ, რელიგიის მაძიებელ საზოგადოებაში ძოწოდებულია რავდენადმე მაინც შესცვალოს ძველი კრებული თუ ეკკლესია და ის თრთოლა და განწმენდის გრძნობა გაგვაცდევინოს, რომლის განცდევინება აღარ შეუძლია ქრისტიანულ მღვდელმსახურებას.

ყოველ დიდ კულტურულ ეპოქაში თეატრი უშუალოდ ეხებოდა ადამიანის ცენტრალურ პრობლემებს, მჭიდროდ იყო შეკავშირებული რელიგიასთან. და თეატრის კრიზისი ცენტრალურ იდეების კრიზისს, რელიგიის კრიზისს მოწმობდა. როცა წარმართმა ღმერთებმა რომის პანთეონი დასტოვეს, დაცალიერდა რომის კოლიზეიც და ნიმის ამფითეატრიც; ქრისტიანული რელიგიური გრძნობის მოდუნებასთან ერთად მოდუნდა ქრისტიანული მისტერიების თეატრი. დღეს ჩვენ ამგვარივე კრიზისს განვიცდით. ძველმა ღმერთებმა დასტოვეს ტაძრები, მითოსის და მისტერიის ცხოველმყოფელი სული გაჰქრა თეატრიდანაც. არავითარ ელექტრონის ეფექტებს, არავითარ მექანიკას და აკრობატიკას არ ძალუძს ამ ცხოველმყოფელი შემოქმედებითი სულის შეცვლა. თეატრის განახლება განახლებულ ადამიანის სულის სიღრმიდან უნდა მოხდეს.

გავიხსენოთ რისთვის შედიოდა ძველი დროის ბერძენი თეატრში და არ შედიოდა ტაძარში, თუმცა ის ღრმად რელიგიური ადამიანი იყო? პრომეთეოსის, ოიდიპოსის და ანტიგონეს მითოსი ნაცნობი და ახლობელი იყო. მისთვის, როგორც საშუალო საუკუნის ადამიანისათვის ქრისტეს ვნების გადმოცემა იყო. ესქილი, სოფოკლე და ევრიპიდე სუჟეტებს ბნელი საუკუნეების უფსკრულიდან იღებდნენ. თეატრი ნამდვილი თეატრალური ხელოვნება იყო, ნამდვილი სინთეტიური ხელოვნება, მიტომ რომ ცენტრალური იდეების განსახიერებას წარმოადგენდა. არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა, მუსიკა, პოეტური სიტყვა და ქორეოგრაფია ერთნაირად შედუღებულნი იყვნენ თეატრალურ წარმოდგენაში და თვით ამ სინთეტიურ ერთეულს ბედის წერის იდეა ფლობდა. და ბერძენი თეატრიდან გამოდიოდა ამაღლებული და გაწმენდილი, მიტომ რომ იქ დიდი კოლექტივის სულს უკავშირდებოდა.

ჩვენ დავსძლიეთ მძაფრი ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი, ახალი საზოგადოებრივი კოლექტივი შევქმენით, რომელიც არ ჰგავს კლასობრივად გათიშულ და დაქსაქსულ საზოგადოებას. რასაკვირველია, ეს არც ათინის დემოკრატიაა: ელლინური თეატრი მისთვის ისევე უცხო და მიუღებელი იქნებოდა, როგორც ბურჟუაზიული დეკადანსის თეატრია. მაგრამ თანამედროვე თეატრის ხელოვნებაც უნდა ჩაეშვას ხალხური შემოქმედების სიღრმეში და მოგვცეს ესთეტიური სინთეზი, რომელიც ისეთივე მისტიურ თრთოლას გამოიწვევს თანამედროვე კოლექტივში, როგორსაც პერიკლეს დროის დემოკრატიაში ესქილის და სოფოკლეს ტრაგედია იწვევდა.

გ. ქ.

# სათეატრო მარცვლები

ქართულ მელპომენეს რავდენათმე ბედმა გაუღიმა, —ისიც მხოლოდ ტფილისში. სახელმწიფო დრამამ სეზონი დაიწყო რუსთაველის თეატრში 25 ოქტომბ. ხალხი პირველ წარმოდგენებს ესწრება, შემდეგ კი გულციობს. დეკორაციები ახალი ყაიდისაა, სცენა გალამაზებული. მხატვრულ მხარეს განაგებს კ. მარჯანიშვილი, რეჟისორია ალ. ახმეტელი, გამგე—დავ ჩხეიძე.

აკადემიური დასის გარეშე დარჩენილ დამსახურებულ მსახიობთ შეადგინეს ამხანაგობა „ქართული დრამის“ სახელით. წარმოდგენებს გამართავენ მცირე თეატრსა და საოპერო თეატრში. სეზონი დაიწყება ხვალ ორშაბათს, „მსხვერპლით“,—ეს არის სიმბოლო მათი თავგანწირულებისა: მშობლიურ თეატრის სამსახურს კვლავ **მსხვერპლის** შეწირვით იწყებენ: უჯამაგირონი, მხოლოდ შემოსავლის შემყურენი. რეჟისორები ალ. წუწუნავა და კ. ანდრონიკაშვილი, გამგე—ალ. იმედაშვილი.

ზუბალაშვილისეულ სახალხო სახლში „წითელი თეატრი“ მოღვაწეობს. წარმოდგენები უფასოა. უმეტესად მოზარდი თაობა ესწრება. ხელმძღვანელი დ. კობახიძე, მთავარი რეჟისორი—ალ. წუწუნავა.

ამ სახლში ყოფ. მომუშავე სცენისმოყვარენი დაიქსაქსენ: ზოგთ ნაძალადევში დაიწყეს მუშაობა (ვ. ნინიძის და ან. ლითანიშვილის რეჟისორობით), ზოგთ—ნიკო გოცირიძის სახელობის სახ. სახლში (ყოფ. ავჭალის აუდიტორია).

რა ხდება სხვაგან?—ამაზე მერე.

თანამედროვე თეატრს თამამად შეუძლიან თავის თავზე სთქვას: ის აღარა ვარ, რაც ვიყავ, ის ნუ ვიქნები —რაცა ვარ!..

**იოსებ არიმათიელი.**

# ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო



ვანო სარაჯიშვილი როლში—რაულ (ჰუგენოტები)

## ქართული ოპერის პირველი არტისტი

ეს იყო ამ 15 წლის წინათ; ზაფხული იდგა. ქიათურაში დრამატიული საზოგადოება მართავდა სალამოს და ამ სალამოში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო ვანო სარაჯიშვილიც.

დიდი სამზადისი იყო. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი გულის ძგერით ელოდა ამ სალამოს, რათა ენახა და მოესმინა იმ ადამიანის სიმღერა, რომლის სახელი უკვე ფართედ მოსდებოდა მთელ საქართველოს და რომელიც ეგრე ძნელი სანახავი იყო პროვინციაში მცხოვრებლებისათვის.

ვანო სარაჯიშვილი ყველას პირზედ ეკერა. პირველი ქართველი საოპერო არტისტი, რომელიც შერჩა სამშობლო კერას და რომელსაც ერთხმად ხოტბასასხამდა არა მარტო ქართველი საზოგადოება, არამედ რუსეთიც, დიაღაც მეტად საინტერესო და სასიხარულო მოვლენა იყო.

ვის არ ახსოვს ის დრო. ქართველობა მაშინ დაჩაგრულათ გრძნობდა თავს: ოპერა ტფილისში ფართოვდებოდა და ფრთებს ისხავდა, საოპერო თეატრის რამპასთან ერთი მეორეს სცვლიდნენ შესანიშნავი მომღერალი მსახიობნი რუსეთისა და საქართველოს დედა ქალაქში ქართველობა მოკლებული იყო საშუალებას მოესმინა ოპერა ქართულ ენაზე.

ია კარგარეთელმა და ცხომელიძემ რამდენჯერმე სცადეს ქართულად ოპერის დადგმა. საზოგადოებას იმედები აღეძრა, მაგრამ ოდნავადაც ვერ მოიკლა წყურვილი: არ იყო ძალა საოპერო ქართველი არტისტი.

და მაშინ ჩვეულებრივი იყო გულიდან ამონახეთქი ჩივილი: რა გვემართება! თითქოს ქართველი ხალხი სიმღერის ნიჭით უხვად არის დაჯილდოვებული, თითქოს ხმებიც კარგი მოიპოვება. რა არის რომ ქართველი საოპერო არტისტები არა გვყვანან და ქართული ოპერა არა გვაქვსო?

და როდესაც გავარდა ხმა—გამოჩნდა ქართველი მომღერალი, რომელიც ოპერის მშვენება არისო, ყველას სახე გაუბრწყინდა და ყველას უნდოდა თავის თვალით ენახა ეს იშვიათი ადამიანი და თავის ყურით მოესმინა მისი სიმღერა.

ქართველი საზოგადოების თავმოყვარეობამ ამ მოვლენაში თავისი დაკმაყოფილება ნახა და ეროვნულმა სიამაყემ ფრთა გაშალა.

ეს იყო დიდი მოლოდინი, მოლოდინი სავსე მღელვარებით:—აი, ვნახავთ ვანო სარაჯიშვილს, პირველ ქართველ საოპერო არტისტს, რომელსაც უცხონიც აქებენ დიდათ; მაგრამ შესძლებს კი იგი ჩასწვდეს ჩვენს გულს და გვაგრძნობიოს სამშობლო ჰანგების სიდიადე, მათი მომხიბვლელობა და ჩვენს გაღვიძებულ სიამაყეს მძლავრი აღმაფრენა განაცდევიოს?!

აი, კითხვა, რომელიც ყველას უტრიალებდა თავში და ხალხი სასწაულს ელოდა.

და იმ სალამოს მთელი ის კუთხე მოზღვავდა, თეატრის დარბაზს მოაწყდა.

სულგანაბული ელოდა ხალხი ვანოს გამოსვლას და მოუთმენლად ისმენდა იმ განყოფილებებს, რომელიც მის გამოსვლას წინ უძღოდა.

დადგა სანეტარო წუთი. სცენაზე გამოჩნდა ლამაზი ახალგაზრდა, ტან ლერწამა, მოხდენილი ვანო და დარბაზი მქუხარე ტაშის ცემათ გარდაიქცა.

გაისმა პირველი აკკორდი პიანინოსი და მთელი დარბაზი ერთბაშათ ჩაჩუმდა ისე, რომ ეს მოკრძალებით და დიდი მოლოდინით აღსავსე დიდი სიჩუმე ყველა ჩვენგანს შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა.

და მოგვესმა იადონის ტკბილი გალობა, აღსავსე გრძნობით, კეთილშობილებით და მშობლიური ჰანგების სანეტარო აჟღერებით. სიხარულის და აღტაცების ღიმილმა მძლავრად გადიარა დარბაზის სახეზე და თვალთაგან ნეტარების ცრემლი გამოსწურა.

გაღვიძებულმა სიამაყემ, არწივისებურად ფრთა გაშლილმა, მაღლა ცის კამარაში შეინავარდა და ქვეყანას მოსდო დიდი ოცნება ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და წინსვლისა.

იმ სალამოს დიდმა და პატარამ, ქალმა თუ კაცმა, ჯეელმა თუ მოხუცმა გულით შეიყვარა ჩვენი იადონი.

მისი მოშორება აღარავის უნდოდა, სცენიდან აღარ უშვებდნენ, ემუდარებოდნენ ერთი კიდევ ემღერა, რომ ერთხელ კიდევ ესმია ნეტარების ნექტარი.

და მთელ ღამეს, მეორე დილას ხალხი ვანოს გარს შემოხვევოდა, არ შორდებოდა, მისი ხილვა სწყუროდა, მასთან ყოფნა უნდოდა მარად...

სასწაული მოხდა. ვანო მოევლინა ჩვენის ქვეყნის სიდუხჭირეს ნუგეშის ანგელოზად, გულის ტკივილების დამაამებელ იადონათ და ჩვენმა ეროვნულმა მუსიკამაც ფრთა გაშალა.—ვანო იყო ის დასაყრდნობი წერტილი, რომელზედაც დაებჯინა ჩვენში სამუსიკო ხელოვნება, ვით არქიმედის აზარმაცი, და ესოდენი ნაყოფი გამოიღო ასე მოკლე ხანში.

მას დღეს აქეთ ვანო გადაიქცა ერის სათაყვანო ადამიანად, ხალხის სიამაყედ...

ჩვენ კვლავ ვნახეთ იგი დიდებით და ერის უსაზღვრო სიყვარულის შარავანდედით შემკული მისი იუბილეს საღამოს. მოზლვავებული ქართველი საზოგადოება მის დღესასწაულს ზეიმობდა და დაფნის გვირგვინით ამკობდა მის ლამაზ, ზეგარდმო მადლით ცხებულ შუბლს.

მადლიერი სამშობლო სიყვარულით და სასოებით აღსავსე მადლობას უძღვნიდა.

რის შემძლე იყო ვანო, ეს ცხადათ ვიგრძენით შარშან სეზონის დასასრულში, ვინც ვნახეთ იგი აბესალომის როლში.

ეს საღამო, მისი სახე, სახე ტანჯული აბესალომისა, მისი კვნესა, სიყვარულით დაფერფლილი გულიდან ამონახეთქი, წარუშლელი და დაუვიწყარია.

და ვინ იფიქრებდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი მღერი, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ამოძახილი სცენაზე, რომელმაც ყველა შესძრა და აატირა.

ვინ იფიქრებდა, რომ მის გულს ისევე ღრღნიდა უკურნებელი სენი, როგორც ჩვენთვის მის მიერ საყვარელი და საბრალო აბესალომის გულსა!

ვაგლახ! მწარეა ჩვენი ხვედრი. მისი დაკარგვით ფრთებ შეკვეცილი ჩვენი სიამაყის. არწივი, ღრუბლებს ზევით რომ იყო აწეული, ძირს ეშვება და ლამის უიმედობამ მოიცვას ჩვენი გული.

მაგრამ ვანოს სახე, ვანოს ღვთიური გრძნობით აღსავსე ჰანგები თან გვდევს, წინ გვიძღვის და მისის ღვაწლით და დიდი გამარჯვებით გამხნევებული სამშობლო ქვეყნის აკვანი კვლავ აღზრდის მასზე მლოცველ; მის მიმბაძველ ახალგაზრდობას, რომელიც მხნეთ და ამაყათ მაღლა ამართავს ეროვნულ ხელოვნების დროშას, რომელზედაც დააწერს: „გაუმარჯოს ვანო სარაჯიშვილს!".

**ის. ვარაზაშვილი.**

## გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი!

რამდენი ტრაგედიაა და ცრემლი ამ სიტყვებში...

საშინელია ბედი არტისტის... ერის მახსოვრობაში წმინდა ხოგონების აჩრდილები რჩებიან მხოლოდ, იმ ღვთიური ცეცხლის ალმაფრენიხაგან, რომლითაც იწვის სცენიური შემოქმედი.

ამაშია საშინელი ბედი და გაორკეცებული სევდა...

მაგრამ დიდი სახელები: სარრა ბერნარ, ელეონორა დუზე, კარუზო იმავე მწვერვალებიდან გაჰყურებენ კაცობრიობის შორეულ პერსპექტივებს, საიდანაც მზერს მარადიული თვალით: დანტე, შექსპირი, გოეთე...

ჩვენთვის ვანო სარაჯიშვილის გახსენება მუდამ იქნება დაკავშირებული ჩვენი კულტურის საერთო ბედთან. არა მგონია საქართველოში დარჩეს ერთი ადამიანი მაინც, რომელმაც ვანო სარაჯიშვილის უდროვო დაკარგვას ქართული ხელოვნების ფატუმი არ დაუკავშიროს.

იშვიათია არტისტი ისეთი ღვთიური ტემპერამენტით და პოეტური ექსტაზით, როგორიც იყო ვანო სარაჯიშვილი.

ვანო სარაჯიშვილი იყო სული შემოქმედებაში დამწვარი ადამიანის.

არც ერთი მშრალი ნოტა!

არის ხმა, რომელშიაც ისმის რასსიული ტემპერამენტის როკვა.

პირიქით: ხმაში შესაძლოა ისმოდეს უაღრესი პერსონალური „თავისიანობა" არტისტიული შემოქმედების.

ვანო სარაჯიშვილის ხმა მე მესახება სულ სხვა ხაზებში. მასში იყო ღვთაებრივი სინთეზი რასსიული და პიროვნული კეთილშობილების.

ამაშია ვანო სარაჯიშვილის მარადიული განუმეორებლობა.

არის მეორე გარემოება, რომელიც უფრო მეტად არის აღსანიშნავი და საყურადღებო. ესაა ქართული ოპერის ისტორია, რომელიც არ დაიწერება ვანო სარაჯიშვილის სახელის გარეშე. უფრო მეტი: ვინც ნახა ვანო ქართული ოპერის სცენაზე, მან შეჰქმნა თავის თავში სარაჯიშვილის აპოლოგია, მძაფრი და უჩვეულო, როგორც პსიხოზი. მე არა მგონია ვინმემ დასძლიოს აზრი, თუ როგორაა შესაძლო ქართული ოპერა სარაჯიშვილის გარეშე.

მინდა ვიწამო, რომ ქართული პოეზია და ხელოვნება შექმნის ლეგენდას ვანო სარაჯიშვილზე. ეს იქნება ყველაზე ძვირფასი სახელი ჩვენი ხელოვნების პანთეონში.

**ნ.**

## ტკბილ ჰანგთა მეუფე.

მრავალ ათეულ წელთა განვლის შემდეგ სამშობლოს ცაზე კვლავ გამოჩნდა გათენების წინამორბედი:

მომღერალი ვანო სარაჯიშვილი!

რაც სიცოცხლეში ვერ მოასწრო თვისი გულიდან მომსკდარ ჰანგთა შეხმატკბილებით, ის სიკვდილით შთაგვბერა—თვითარსებობის რწმენა განგვიმტკიცა;

ქართულ ოპერასა და ქართველ საოპერო მომღერალს მსოფლიო მოქალაქეობა დაუმკვიდრა, მშობლიურ საოპერო ხელოვნების დროშა მაღლა ააფრიალა!

ამიერიდან საქართველოს დედა-ქალაქში სახელმწიფო საოპერო თეატრის ფარგალში აღიმართება მისი ძეგლიც.

ერთს მხარეს პოეზიის შუქურა **აკაკი**, მეორეს—სიმღერის ჯადო-მგოსანი **ვანო**!

ამ ორი დიდი ხელოვანი-შემომქმედის ძეგლი ყველა ხელოვანს, ყოველ მაღალ ზნე-გონებიერ ადამიანს შთააგონებს, რომ საქართველო იყო, არის და იქნება სილამაზის, სიყვარულისა და ტკბილ ჰანგთა ქვეყანა.

და ამ დარგში დიდ ერებთანაც შეგვიძლიან გაჯიბრება.

* * *

ვანოს შესახებ ბევრი ითქვა, ბევრიც ითქმის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დარჩება უთქმელი, ეგოდენ თავისებური, თვითშემომქმედი იყო იგი.

მცირე მოგონება:

კახეთში ერთი კონცერტის შემდეგ ვახშამი გაიმართა. ნადიმი გაგრძელდა.

— ნუ დავიძინებთ! ვანოს ვაჩვენოთ როგორია განთიადი, გათენება ალაზნის ველზეო,—წარმოსთქვა ერთმა.

ითქვა. აღსრულდა.

მხიარულება დაულეველი იყო, ქეიფი კახური, სიმღერა არა-ჩვეულებრივი..

განთიადისას ფრინველთ დაიწყეს შეხმატკბილებული გალობა, ბაღში იადონი აკვნესდა, თითქოს დიდს მომღერალს ეჯიბრებაო, ეგოდენ ძლიერი იყო გალობა მისი.

ვანომ ყური აცქვიტა, მერე შეჰმღერა და...

ირგვლივ ყოველივე მიყუჩდა. ყოველნი სულდგმულნი სმენად გადიქცნენ. ფრინველთ შესწყვიტეს გალობა, იადონმა ხმა გაკმიდა.. ღრმა ძილისაგან გამოღვიძებული სოფელი სულგანაბული უსმენდა ჯადო სიმღერას...

ვანოს დასძლია ეშხით დამთვრალი გაჯიბრებული იადონი.

* * *

ჭეშმარიტად, იგი იყო ის მომღერალი, რომლის შესახებაც ჩვენი სულმნათი შოთა იტყვის:

რა ესმოდის მღერა ყმისა
სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან,
რა ატირდის—ატირდიან! *)

*) ამ ლექსის პირველი ოთხი სტრიქონი იყო წარწერილი ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-სგან ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ გვირგვინზე. ესევე ლექსი მოიყვანა თავის სიტყვაში აკ. ფალავამ 22 ნოემ. სახელმ. საოპ. თეატრში და სთქვა: ძეგლზე ეს სიტყვები უნდა წაეწეროსო და ამაზე უკეთესიც არ შეიძლება.

ვანო სარაჯიშვილზე უკეთესი მომღერალი, შესაძლოა, გამოჩნდეს (და ეს ასეც იქნება: ჩვენი ხალხის თვითშემოქმედობის უნარი ამის თავდებია), მაგრამ **ვანო სარაჯიშვილი**-კი აღარ იქნება,—იგი იყო **განუმეორებელი**, ერთადერთი, უტეხ ბუნების საუკუნეთა მადანის **ერთეული** ჯავარი!

ჩვენს ხალხურ სასიმღერო შემოქმედებას დილის ცისკარად მოევლინა, ვითარცა ტკბილ ჰანგთა მეუფე, და ამიერიდან მშობლიურ ოპერას შუქად წარუძღვება წინ ბრწყინვალე მომავლისკენ!..

**იოსებ იმედაშვილი.**

## ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას

იმ ერს, რომელსაც არა ჰქონია და არცა ჰბადია სულიერი სიმდიდრე, რომელიც თავს არ იმტვრევს უმაღლეს იდეებისადმი თაყვანისცემით; იმ ერს, რომელსაც არ ჰყოლია და არცა ჰყავს კულტურის არც ერთ დარგში არამც თუ დამამშვენებელი და გენიოსი, არამედ უმნიშვნელო მოღვაწეც-კი, ის არას დროს არ განიცდის ჭმუნვასა და სევდას... არ-რის მქონეს არაფერი დაეკარგება ისეთი, რამაც გული დაუთუთქოს. ასეთი კი არა ერთი ერი ბინადრობს დედამიწაზე.

ქართველი ხალხი არ ეკუთვნის ამ კატეგორიას.

ჩვენი ისტორიული სათავეც-კი მშვენიერია, შინაარსიანი და მოფენილი ფერად მარგალიტებით. რაც შეეხება თვით ისტორიულ ცხოვრების მიმდინარეობა-განვითარებას, მას ჰქონდა ეკლიანი გზა, რომლითაც ნელა მიიწურებოდა წინ, კულტურისაკენ ჩვენი ცხოვრება. თუმცა, ხანდახან, მთელ საუკუნეების განმავლობაში ერის ცხოვრებას აჩერებდენ ამ გზის ხლართები და ეკლები, რომლებიც ხალხის ზრახვებს უკან ეწეოდენ.

ასეთ ვარამის ქვეშ არა ერთჯერ ამოუქნეშია, იალბუზზე მიკრულ ზღაპრულ ამირანივით, დაუძლურებულ, მაგრამ მაინც მრისხანე ქართველ ხალხს.

# ახალი სულები

მდევარს უძლოდა გურგენი, ლეკეთის ნაიბმა მოსტაცა საცოლო და გულ-არეული ჰკვალავდა იელიან გორს.

სანგარში იჯდა და აქ უნდოდა გურგენს პირის-პირ შეჰყროდა სიყვარულის მოცილეს.

ღამის დელგმაა. შავი ნისლები ატირებდენ მთახევთ.

— წავიდეთ, წავიდეთ!—იძახდა სიბნელეში ქალის ხმა.

გურგენი სმენად გადაიქცა; ცოტა ხანიც და მის წინ უეცრივ ორი აჩრდილი გაჩნდა. ესენი იყვნენ: ლეკეთის ნაიბ-მუხამა და თუშეთის ასული სალომე. ერთ-ურთის ეშხით მოქანცულნი, ჩამოსხდნენ ხავერდად გაშლილ დეკნარზე და ეშხიან სიყვარულის კოცნით ეხვეოდენ სიცოცხლის ბაგეთ.

— რა ლამაზები არიან უბედურნი?!. გაიფიქრა გურგენმა და მოხდენით თოფი შეატრიალა; მაგრამ იმავე წამს რაღაცა მძლავრი მოსწყდა გონებას, შეყვარებულთა სითბო შეეპარა მის გულს და ტკბილად მიაძინა გრძნობათა გულის დარაჯი. თოფის გრიალმა გამოარკვია იგი, და გონზე მოსულს მოესმა ქალის სასიკვდილო კვნესა. მთვარემაც აიხადა ღრუბლების ფარდა და საიდუმლოდ გადმოხედა სამყაროს.

გურგენი უხმოდ მივარდა მომაკვდავთ და მოშინჯა ნატყვიარი. სალომემ მთვარის შუქზე მოხარა ლამაზი სახე, რა იცნო უცხო თვალები—„მძულხარ! მძულხარ!“—ძლივს წამოიძახა და სამუდამოდ ჩაეხუტა მიჯნურის გაცივებულ გვამს.

— მძულხარ! მძულხარ!—ეს საიდუმლო ხმა არ შორდებოდა გურგენს და სიბრალულით დასცქეროდა მიცვალებულთ.—რისთვის, რისთვის?'.—ჰფიქრობდა იგი ცრემლმორეული და ეს იყო მისი ტანჯვისა და სიყვარულის პირველი ცრემლი

პირიმზით, სადაც საზღვარია ჩალმათ-დიდოეთისა, მრავალი დეკანი ჰყავს. ჩრიოხებიდამ გადმოფრენილმა ქვრივმა რაჭომ პირველმა გადმოისროლა თუშეთში მწარე ნაღველი სალომე ქალისა და თოფის ხმით შეშინებულმა ფრინველმა ყვავილოვან ფერდობზე განაბა სული.

გათენდა. ამომავალი მზე დაბლა ფიჭვიან ტყეს დაჰყურებდა, გაბნეული სხივი გირჩას უალერსებდა და მის მრავალ ილლიაში ჰქრებოდა; მთის კალთაზე მოსული ყვავილნიააქანა ანდაქის ყოისუს სიომ და მზის ეშხით დამდნარი ჭირხლი მარგალიტებად აბნია მიწას.

შორიდან მოისმოდა ლეკური დაფზურნის ხმა; ამით მარხავდენ ლეკეთის ნაიბს მუხამას. კარ-ნათესავთ მიტოვებული სალომეს გვამი კი ობლად სჭკნებოდა ფერადოვან ყვავილთა შორის.

მე არ მიყვარს გადამეტება. ეს ყველაფერი ცხადია დღეს, ქართველ ხალხის კულტურულ სალაროში: ეს არის ჩვენი სულიერი განძი. ამ საგანძურის ერთი საუკეთესო დამამშვენებელთაგანი იყო ვანო სარაჯიშვილი, რომელიც მძლავრ ფრთებიან არწივსა ჰგავდა; ის უმეტოქო მფლობელი იყო ჩვენის სულიერ სიმშვენიერისა და სიმაღლის ატმოსფეროსი. მან განავითარა ხალხში აღფრთოვანება და აღმაფრენა.

დღეს-კი ფერმიხდილმა, სამუდამოთ შეჰკვეცა მძლავრი ფრთები ქართველ ხალხის სულიერ მწვრვალეების მეუფეს, მისმა სიამაყემ; უხმოდ ჩაეშვა უფსკრულს და უხილავ იქნა.

მას ამიერიდან ველარ ვიხილავთ, მაგრამ ხალხის გულში იქნება მისი დაუვიწყარი ხსოვნა მანამდე, სანამ რუსთაველის ქუჩას ამშვენებს ხელოვნების მშვენიერი ტაძარი, სადაც დიადი სახალხო მსახიობი წმინდა ხელოვნებას ემსახურებოდა, და რომლის გვერდითაც მას უთავაზეს საუკუნო სავანე.

გრ. ქავჭანიძე.

## ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი

(იოსებ იმედაშვილის ხელთნაწერიდან)

**სარაჯიშვილი, ვანო (ივანე) პეტრეს ძე** (1880—1924)—მსახიობ-მომღერალი, ლირიული ტენორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი,—მეთორმეტე შვილი დედმამის (მამა—ყოფ. ინჟინერი, სიღნაღის ნოტარიუსი, დედა—ეფემია რუსიევ-ყორჩიბაშიშვილის ასული), დაიბადა 1880 წ. 5/V ქ. სიღნაღს. მღერა დაიწყო 6 წ., 7 წ. სათ.-აზნ. სკოლაში მიაბარეს. აქ შესვლისათანავე მოწაფეთა გუნდში მღეროდა, ამავე დროს ვიოლონჩელზე დაკვრას სწავლობდა (თავის ბიძაშვილ—ცნობილ ვიოლონჩელისტ ივ. სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით). 16—17 წ. გადავიდა ტფ. სამუსიკო სასწავლებელში ვიოლონჩელზე დაკვრის შესწავლის განსაგრძობად, იმავე დროს ალ. კავსაძის მომღ.-მგალ. გუნდში მღეროდა. სიღარიბის გამო სამსახურში (ტფ. ხაზინაში) განიზრახა შესვლა, მაგრამ რადგან გარუსების მოციქულნი ქართველებს არ სწყალობდენ, პირველად ვერ შეიძლო. ამ ხანებში პალატის უფროსმა მიხაილოვმა ერთ ნადიმზე შემთხვევით მოისმინა ს—ის სიმღერა და ისე მოიწონა, რომ სახაზინო პალატაში მიიღო საპატიო ადგილზე და კარგი ჯამაგირიც დაუნიშნა; მისივე დახმარებით ქართ.-კახეთის თავ.-აზნ. ს—ს სტიპენდია დაუნიშნა და 1903 წ. პეტროგრადს გაგზავნა სიმღერის შესასწავლად, შემდეგში სტიპენდია დაუნიშნა დავ. სარაჯიშვილმა.

სწავლობდა რუსეთის შესანიშნავ მომღერალ პროფ. ბარიტონ პრიანიშნიკოვთან, შემდეგ—ცნობილ პროფ. ქ ნ პანაევა-კარცევასთან. 1906 წ. მისი მეოხებით იტალიურ ოპერაში იმღერა. პირველ გამოსვლისათანავე საზოგადოებას ძლიერ მოეწონა. ამავე წელს ტფ. მოიწვიეს საგასტროლოდ: იმღერა ალფრედი, ჰერცოგი („რიგოლეტო“), ფაუსტი და ლენსკი („ევ. ონეგ.“), რომელთა შესრულებით გამარჯვების მწვერვალს მიაღწია ვითარცა მშვენიერი ხმისა და მგზნებარე გრძნობის მქონემ. 1906 წ. იტალიას (მილანს) გაემგზავრა. ლასკალას თეატრში გამოცდის შემდეგ პარმაში მიიწვიეს, 1909 წ. პეტროგრადს (გვიდის დასში). აქ წასვლამდე ტფ. სახ. თეატრში მოიპატიჟეს: იმღერა ნადირი („მარგ. მაძ.“). ვილჰელმ მაისტერი („მინიონი“). საზაფხულოდ მღეროდა კისლოვოდსკში, მერე სიმბირსკში, შემდეგ ხანებში ტფილისს, პეტროგრადსა და ბაქოში, 1918 წ-ან ტფ. სახელმწიფო თეატრში, აგრედვე პროვინციას ესტუმრებოდა ხოლმე, მონაწილეობდა მრავალ საკონცერტო საღამოში. ზემო ჩამოთვლილ როლებს გარდა შეუსრულებია: გერმანი

* * *

გლოვად იდო თოვლი კავკასიონის ქედის მწვერვალოებზე. თოვლის თეთრი ზოლიდან მხოლოდ ქანჩახკლდე-ღრენი მოსჩანდენ შავად. მარაგიანი ღამეებით ჭოდდებოდა თოვლი.

შებინდების ხანს, ალატოვნის ვიწრო ხორხში, მარტოდ მარტო, გუდა ნაბად აკიდებული მგზავრი ჰკვალავდა თოვლს. უკან მოსდევდა ყელ ჩანგლიანი ძაღლი და საბრალო თვალით შესცქეროდა უგზოობით დამაშვრალ პატრონს. ძლივს მიაღწია მგზავრმა გადასავალ ცერს; აქ გამუდმებით ისმის ზამთარ-ზაფხულში ყინული, ყინული დახეულია მრავალ ალაგას და მის ქვედა პირიდან მოისმის ხევის საზარელი ხმაური. მგზავრმა მოიკრიფა ღონე, მოეკიდა ბროლის კლდის ყინულის შუბს და გადმოხედა კახეთს. ალაზნის ყანაოზს გააყოლა თვალი.—იქ სადაც თავდება ეს ზოლი ხომ შირაქია?—გაიფიქრა მგზავრმა და თვალ წინ წარმოუდგა განვლილი სიყმაწვილე: ცხვარი, ბინა, ტოლ-ამხანაგნი.—წავიდე?!. ვილას ვუნდივარ,—გაიფიქრა კვლავ და მწარედ მიაბრუნა შუბლი გომბორის ცივ მთებს. კიდევ შორს, შორს ცივის გადაღმა—ტფილისისაკენ გასტყორცნა მგზავრმა თვალები, მაგრამ სიცივით მოწყლიანებული, უმალ საყვარელ ძაღლს მიასვენა. საქართველოს შვილს, საქართველოს გულის მიდამოები, შორეულ—უცხო მხარედ მიაჩნდა. ვერ დაიტია მგზავრმა ესოდენი სიშორე სივრცისა და მთა-ხევთა თეთრი სამოსი უცნაურ მოარულად გადაექცა: თოვლის ხავერდზე მოხაზული მარაო ლაჟვართ ჰაერის სივრცეში მიაცილა და იქ, იმ სიცარიელეში—ხელ-მკლავ გაშლილი ლეკი გულში იხუტებდა მეოცნებე ასულს.

სატრფოს მიტოვებული, ახლა სხვა გზით მიდიოდა, სულ ახალი გზით. მის წინ უთვალავი ყინულის რაშები მიჰქროდენ. უნდოდა მგზავრს, სამუდამოდ, სამუდამოდ მოჰშორებოდა ნაცნობ მიწა-წყალს და ესევე სურვილი ჰპარავდა ცრემლებს.—ქალაქი?..—სადღაც გაეგო, უნდოდა მოეგონა ნაამბობიდან, მაგრამ ძაღლის ყეფამ გამოარკვია: სიცივით შეწუხებული პირუტყვი სამშვიდობოსკენ აშურებდა პატრონს. სიცივე ალურჯებდა კანს, გონებას უკარგავდა მოგზაურს და ფერადის ოცნებები კი ერთი მეორეს ემბოდენ. უეცრივ ამოვარდა ქარი; ნამქერი ერთმანერთს აერია და ჯოჯოხეთის სიცივე დაეუფლა თეთრად გადალესილ ცერებს. უკუნეთი იყო და ამ ქარის ზუზუნს ყრუდ უერთდებოდა საბრალო ძაღლის ყმუილი. საცოდავი პირუტყვი!.. გრძნობდა თუ სიკვდილის ზმანებას, ან იქნებ პატრონის უბედურებას მოსთქვამდა, ფერად-ოცნებებში რომ დალია სული?!. ნამქერმა ერთხელ კიდევ დაიზუზუნა და სადღაც ღრმა ხევში გადაიყოლა პირუტყვის უკანასკნელი ძახილი.

* * *

(„პიკის ქალი“), რაულ („ჰუგენოტები“), რადამეს („აიდა“), აბესალომ („აბ. და ეთ.“), დონ-ხოზე („კარმენ“), კოვარდოს („ტოსკა“), შოთა („თქმ. შოთა რუსთ.“), თეიმურაზ („ლეილა“), ირაკლი („ლალატი“), მალხაზ („დაისი“) და სხ. უმღერნია 35 ოპერაში, შეუსრულებია სხვადასხვა სახისა და მუსიკალურ ხასიათის როლი (აბესალომი 100-ზე მეტჯერ). გასაოცარის თავისებურობით და სიმშვენიერით ასრულებდა „ურმული“-ს, „ჩაკრულო“-ს, „ინდიმინდი“-ს, „გენაცვალე“-ს და სხვ. ხმა მისი გულის სიღრმემდი სწვდებოდა, მსმენელს აჯადოებდა. ახასიათებდა საუცხოო გამოთქმა (დიქცია), წინადადებების გამომეტყველება, მუსიკალურ კილო-ჰანგთა შეგნება, ბგერათა მრავალფეროვანება. როგორც ქართველმა რუსეთსა და ევროპაში პირველობის სახელი მოიპოვა და ქართველ სამუსიკო შემოქმედებას ფრთა შეასხა. მთავარ მონაწილეობას იღებდა ყოველ ქართულ ოპერაში. შექმნა თავისებურ-მშობლიური მუსიკალურ-სცენიური სახეები. იყო ქართული მუსიკის მესაიდუმლე, მისი თავისებურობის ღრმა შემგრძნობი. 1923 წ. 16/V დიდის ზეიმით გადაუხადეს 20 წ. სამსახიობო მოღვაწეობის იუბილე, საბჭოთა ხელისუფლებამ უბოძა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება, გარდ. 1924 წ. 11/XI ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. დაიკრძალა ტფ. სახელმწიფო ოპერის თეატრის გვერდით ბაღში, საარაკო დიდებით, მთავრობის ხარჯით, მთელი ერის გლოვით. ს—ს სამსახიობო მოღვაწეობას მრავალი წერილი აქვს მიძღვნილი, ცალკე გამოცემულია „ვანო სარაჯიშვილი, 20 წ. იუბილეს გამო“, ინ-ენისა, 1923 წ.

---

## ვანო სარაჯიშვილი

გაწყდნენ სიმები... და ჟღეროვან აკკორდთ ქვითინში,
მკრთალ შემოდგომის მზის სხივები აფრქვევენ ცრემლებს,
და მკაცრ სიკვდილის გამარჯვებულ უხმო სისინში,
ნაზი სიცოცხლე შენს დაკარგვას ჰგლოვობს და ჰგლოვობს.
დაიმსხვრა არფა მომხიბლავი... ნეტა სად გაჰქრენ
მარგალიტები ხავერდოვან ხმათა ბგერისა?
ბნელ შემოდგომის ძაძით მოსილ ნისლში შთაინთქენ,
და დარჩა მხოლოდ ყრუ ქვითინი შენი ერისა:
ოჰ, დაწყევლილი მდუმარება რას არ გვაგონებს!
შავი სიკვდილი დაჰკდომია შენს მიმქრალ ბაგეს,
ვინ გაგვაგონებს ხავერდოვან ჟღეროვან ჰანგებს,
ვინღა აღანთებს შენს ტკბილ ხმაში მგზნებარ სიცოცხლეს?
ან რისთვის მღეროდი „თავო ბედი არ გიწერია“,
რისთვის უხმობს აბესალომს ტყეში ეთერი,
განა შენს ტკბილ ხმას ჩვენთვის „ეშხით არ უჟღერია?“
სჩანს საქართველოს არ ჰქონია დღეს შენში ბედი.

თამარ ტარუაშვილი.

## ეთერის გოდება

(ვ. სარაჯიშვილის ხსოვნას)

...და იყო დრო, როდესაც მშვენიერებით მოცულ მიდამოებში გაჰკიოდა უძვირფასესი ჩემი სულის სწორი აბესალომი. მის წამრტაცი და მგრძნობიარე ხმა დედის ნანასავით ჩამჩურჩულებდა გულში და მიხმობდა მისდა სასიხარულოთ. დედინაცვლისგან დაჩაგრული მივენდე მას გულით და სულით, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა გამომტაცა იგი და დამაობლა. მხიარულება შემეცვალა მწუხარებათ და კვლავ ვგდივარ დედინაცვლის კარზე და ცხარე ცრემლით ჩემთან ერთად ჩემი ერი დასტირის აბესალომის გვამს. მხოლოდ შორს, მთის ფერდოებზე სდგას მურმანი და მწუხარების ნაცვლად ჯადოსნურად იღიმება და ჩემს სხეულზე ოცნებობს, ხოლო ხალხი კი სტირის და სტირის, რომ აღარა ჰყავს ახოვანი, რაინდი და სულით სპეტაკი აბესალომი...

ს. ი.

---

გაზაფხულის ღამე იყო, ცქრიატი-ვარსკვლავიანი. მეცხვარეები ასეთ ღამეს—საველე ღამეს ეძახიან. მთის მიძინებული ხევები საიდუმლოდ ჩასტიროდენ ჭალებს. აქა-იქ ბინებიდან მოისმოდა ძაღლების დრო-გამოშვებითი ყეფა. კეპნის ბინაზე დიდი ცეცხლი ენთო; ხანში შესული მეცხვარე ცეცხლი პირს იჯდა და ჯოხზე ცხვრის სათვალავს ანგარიშობდა.

მაღლა ცერიდან ძახილი მოისმა; სადღაც შორს კვლავ განმეორდა იგი და მისუსტებული ულრან ჭალაში ჩაკვდა. სარქალმა შეშას შეუჩიჩხინა, მრავალი სკივი წამოიშალა და ღამის სიბნელეში შთაინთქა. ძახილი კვლავ განმეორდა. თეოდამ ხმა მისცა მებატკნემ; პასუხი არ იყო.—ბალღო! ხმა აღარ ამოიღო, ახალი სული იქნება ვინმე!—გააფრთხილა სარქალმა.—ვინ ახალი სული, ბიძავ?—შეეკითხა მებატკნე სარქალს, როდესაც ცეცხლს მოუახლოვდა და ცარიელ საპალნის კეხზე ჩამოჯდა.

— ხომ გახსოვს, ჩვენშიით გურგენი? მისი საცოლო დიდოს გაჰყვა ქორწილის ღამეს, თვითონ გაგიჟდა და თავისი სული ამ ჩვენი ბინის ცერებს მიაბარა.

— ამბობენ ვითომ ლეკის მთის ცერებზე გადმოდგება სალომეს აჩრდილი, ხელში ნაიბის გული უჭირავს და სტირის დაკარგულ სიცოცხლესაო; გურგენის სული კი თურმე ამ დროს აქედან აძლევს ხმას; შესთხოვს პატიებას, მაგრამ გლოვილით, ჩემო ძმის წულო, ვის გაუმთელებია ბერი როსტომის გული?!. საბრალო სალომე?!.

ასე გაათავა ამბავი სარქალმა.

— საბრალო გურგენი!.

ამოიოხრა მებატკნემ, აიღო თექა-ნაბადი, გაიდო თოფი მხარზე და ღამის სიბნელეში გაჰქრა. სადღაც შორს თოფი გავარდა; ხევიდან-ხევს გადაეცა მისი ქუხილი. მთა-ხევთა გამოძახილზე გადაღმა კლდის ძირში მწოლარე ჯიხვმა დინჯად აახილა თვალები, შეიბერტყა ყელ-ყური და კვლავ მიიძინა გუნება მძიმედ.

— დასაქცევი! ნადირი თუ მიუვიდა მონამგლეთ, წაილუღლუღა თოფის ხმაზე სარქალმა და უფრო ახლოს მიუჯდა ცეცხლს.

თეოდან მოისმა სევდიანი სიმღერის ხმა; მებატკნე მღეროდა:

„ქალი ქერია, ბედშავი,
სიდამ რა დაითესება,
კარგი ყრმა ისრის ქოჯოი
გაჰჭირდეს, დაიხარჯება“-ო.

— ჰაი, გიდი ჯეილობავ! ამოიოხრა სარქალმა და ცეცხლის პირას მიხუჭა თვალი.

რ. მურთაზაშვილი.



## ვანო სარაჯიშვილი კუბოში

ნახატი ირ. თოიძისა

საქართველოს ხუჭუჭ ქალებს
ბულბული ჰყავს მკვდარი;
მის დახუჭულ ლამაზ თვალებს
ამკობს ცრემლის ცვარი.

ობლობას გრძნობს ტურფა ქალა,
გაჰქრა ლხენა, სტვენა;
ჰანგთა მეფე გარდიცვალა,
მოკვდა ალმათრენა.

მოკვდა, ველარ შემოსძახებს
ხმა-ტკბილ ტიავ-ტიავს;
ქალაც მისთვის შეჰვაგლახებს
და შველას სთხოვს ნიავს.

მიიჩა, ველარ გაალვიძებს
საუკუნოდ მძინარს;
ველარავინ ვერ მოისმენს
ჰანგებს მოუწყინარს.

საქართველოს ხუჭუჭ ქალებს
ბულბული ჰყავს მკვდარი;
მის დახუჭულ ლამაზ თვალებს
ამკობს ცრემლის ცვარი.

გ. ქუჩიშვილი.

თეთრ სასახლეში
მე მიყვარდა ღია ფერები.
დღეს კი აღარ ხარ..
და დარბაზმა თალხი ჩაიცვა.
ამ სასახლეში მაგონდება მხოლოდ ზეიმი,
ამ სასახლეში მაგონდება მხოლოდ მოლხენა.
აქა მღეროდი!
აქ გისმენდი!
აქ ჯადოსნური ჰანგი
ლამობდა ჭერის გარღვევას.
თეთრ სასახლეში
მე მიყვარდა ღია ფერები..
დღეს კი...
შავი ესტრადა.
გლოვა, ტრაური.
სარკეებზე ყორნების ფრთებათ
მარმაში ღელავს.
სევდით ქვითინებს შოპენის მარში:
—შენ აღარა ხარ!
შენ აღარა ხარ, შენ—
სიმღერის ბატონიშვილო!
აღარა ხარ.. და შენს გარშემო
ზღვა მოვარდნილა,
ზღვა სევდისა.
ზღვა ცოცხალ ხალხის.
კვლავ დაითალხა საქართველო.
შენც ჩამოგვშორდი.
და მკვდრები ცოცხლებს, სამარცხვინოთ,
გვიდარაჯებენ.

მარიჯან.



დამსახურებული მწერალი
**სოფ. მგალობლიშვილი.**
ნახატი ალ. ციმაკურიძისა.

## მთვარეს

როგორ ციმციმებ, როგორ იცინი,
მთვარევ, ნეტავი მისცურავ სად?
ჩემი ბავშვობა შენში ვიცანი,
მეც ვიცინოდი უწინ შენსავით...

დღესაც იცინი და გიხარიან,
დღესაც, როს სევდა მაწევს ჭვინებად,
ალბად, სამარეს რომ გამითხრიან,
შენ ისევ ასე გაგეცინება!

ი. გრიშაშვილი.



ნიკ. ქუმსიაშვილი. გამოვიდა სათ. თეატრში 26—XI „დაის"-ში (მალხაზი შეასრულა).

# უკანასკნელი სიმღერა და არავინ...

(ვანო და სიმღერა კუბოში)

იყო სიშავე და დ ღვრემა, და პოეტები შეცქეროდენ კუბოს, კუბოს უკვე ათასი თვალებით დატირებულს.

ეს იყო სასახლეში სადაც მწუხარე გედებივით სტიროდენ საკრავები.

სადაც ყველა ოთახები: სარკმელებს, კარებებს, და იატაკებს და ოთახს, რომელიც სავსე იყო სურათებით, ანაღვლებდა:

სამგლოვიარო მარში.

საკრავებს გადაჰქონდათ თვისი ხმა ყველგან და ზოგი მათგანი იქ დაკიდულ პორტრეტებსაც უვლიდა.

თითქოს სტიროდენ სურათებიც.

თითქოს მათაც სდიოდათ ცრემლი, ისეთივე: როგორიც იყო თვით შებრძოლება სიკვდილის.

ყველანი იდგენ, და ყველანი ივსებოდენ სიმწუხარით, თითეულ შეხედვაზე.

არ იყვნენ ადამიანები და იღვრებოდა ცრემლი.

სევდა კი კუბოში ცვიოდა მთვარის ნატეხებივით.

კუბო ზიდავდა სხეულს და სულები უვლიდენ გარშემო პატარა მანქანებივით.

მოკვდა სხეული და წინანდელი გუგუნი სიმღერის მოდიოდა მოგონების რკალებიდან.

აქ იყო უკანასკნელი მღერა და კუბოდან მოდიოდა თითქოს მკაცრ და დაჯერებულ სიცხადეთ:

— არავინ...

— მე განუმეორებელი ვარ.

ჩვენ კი ვტიროდით და შევცქეროდით ძალღილ სახეს.

***

ვინ გახდება კიდევ საბაბი ჩვენის სიმთვრალის?

ვინ აატირებს კიდევ მალხაზს, ვინ ააცრემლებს ასე უიმედოს და ასე დანაღვლებულს?

ვინ დაგვწვავს კიდევ ასე გრძნობის ნატეხებათ?

ვინ შეარხევს კიდევ ჰაერს გაუგონარ ხმებით, საკვირველებით?

არავინ.

არავინ. არავინ.

ეს მოდის ისრებივით და ედება გულს, გულს ატირებულს.

ნუთუ უკანასკნელად დავტირით ამ კუბოს, რომელიც სამუდამო ბინაა ასეთ სიმღერის.

ნუთუ „თავო ჩემო“-ს სიმწვავე და ცეცხლი აღარ შეარხევს თეატრის სარკმელებს, უკანასკნელ ტირილათ?

მაგრამ ცრემლები რომლებიც ედებიან ჩვენს სხეულს, სხეულს დატანჯულს ამდენის ძრუანტელით, გვაგონებს სიცხადეს:

— სევდაა ნამდვილი და დაჯერებული.

ო სასაფლაო, ო ჩონჩხებო, რატომ არ გვესმის ჩვენ მანდედან სიხარული?

ხომ ემატება თქვენ სამეფოს, შავ სამეფოს საშიშარს და ცივს, გვამი ასეთის დაუვიწყარის?

ხომ სხვანაირი იყო მისი სიკვდილი?

ხომ სხვანაირად აკანკალდენ ჩვენი ქუთუთოები და სხვანაირი სევდაა აქ.

მაგრამ ისევ:

მწუხარე საკრავები, პროცესია შავი, ნაღვლიანი, სიმღერა კუბოში და:

— კუბო სასაფლაოსაკენ..

სასაფლაოსაკენ...

**კაიუს პელი.**

# ანატოლ ფრანსი



გარდაიცვალა ანატოლ ფრანსი. ის დიდი პატივით დამარხეს. ცხედარს აცილებდენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მრგვალი ჩასუქებული დუმერგი, პარლამენტის თავმჯდომარე პროფესორი პენლევე, მდიდარი და მოუსვენარი ლიონის ქალაქის თავი, იმავე დროს მინისტრ-პრეზიდენტი ერიო, სანგვინიკი და ყველასთვის თავაზიანი მარქსის ჩამომავალი ჟან ლონგე, გატაცებული და მჭერმეტყველი მარსელ კაშენი თავიანთი მიმდევრებით და თანამოაზრეებით.

თითქმის მთელი პარიზი?! სრულებითაც არა. მის ცხედარს არ გაყოლია, მაგალითად, პარიზის მღვდელმთავარი თავისი კათოლიკური მრევლით. არ ყოფილა შრეიდერ-კრეზოს ჯალაბობა და არც ლიონის კრედიტის ცნობილი მუშტრები. დაკრძალვის დღეს პარიზის არქიეპისკოპოსი უსათუოდ იგონებდა ანატოლ ფრანსის ნაწერებიდან: „არის ოცდა ათი საბუთი სულის უკვდავების წინააღმდეგ, ხოლო ოცდა თექვსმეტი ამ უკდავების სასარგებლოდ. ამ ნაირად ექვსი საბუთით მეტი ლაპარაკობს დადებითადო“. თუ ამ ირონიასთან ერთად ის გაიხსენებდა ანატოლ ფრანსის საჯარო გამოსვლებს ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის დროს (1903—5 წლებში) და მის სიტყვებს, „ხომ არ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მხოლოდ სამი სარწმუნოება (კათოლიკური, პროტესტანტული და ებრაელური. ბ. თ.) შეიცავს ჭეშმარიტებას მხოლოდ იმისთვის, რომ თითოეული მათგანი მთელი სიმკაცრით უარყოფს დანარჩენ ორსო“, მაშინ, ცხადია, ეპისკოპოსი თავს არ შეიწუხებდა მისი ცხედარის გასაცილებლად და არხეინად გადავიდოდა მორიგ საქმეებზე... პროტესტანტების, ან მართლმადიდებელ ეკლესიის წინააღმდეგ შვიდას ორმოც და მეცამეტე წერილის დამუშავებაზე. შნეიდერ-კრეზო კი გერმანიის ახალი ცეპელინის ნიმუშს ათვალიერებდა, მაგრამ რადგანაც ისინი ვალდებულნი არიან იცოდენ, თუ ვის მარხავდა პრეზიდენტი იმ

დღეს, საღამოს რომელიმე ბუღუარში ნანას მიერ „მატენიდან“ ამოღებული აღწერის გადმოცემით დაკმაყოფილდებოდა.

ანატოლ ფრანსს მარხავდა პარიზის რადიკალური ინტელიგენცია, წვრილი ბურჟუაზიის ფენები და მუშები. ხოლო დუმერგი თავისი ამალით უფასო დამატება იყო. ინტელიგენცია ეთაყვანებოდა ფრანსს, როგორც საერო მოაზროვნეს და კათოლიკური ეკლესიის წინაალმდეგ მებრძოლ პიროვნებას და ამავე დროს, როგორც მეოცე საუკუნის უდიდეს სკეპტიკოსს, რომლისთვის ჭეშმარიტება და შემცდარი აზრი თვალთა ხედვის ისრიდან არის დამოკიდებული, ცვალებადი და დაუდგომელია. საფრანგეთის ისტორია, თუნდაც დამახინჯებული, რომელსაც ფრანგი ბავშობიდან სწავლობს, იმდენად მრავალფეროვანია, რომ ყოველი ფერის ადამიანი იქ იპოვნის თავისი ცვალებადი განწყობილების შესაფერ სურათებს. თუ ის ფრიად აღტყინებული და გატაცებულია სოციალური ქიდილით, თვალს გადაავლებს კონვენტის გმირების აღმაფრენას და მათი ნებისყოფით დასტკბება. თუ ოდნავ ხანშესულია და მაინც ძალ-ღონით სავსე, კონსულობის და პირველი იმპერიის სურათებს გადახედავს, როდესაც ნაპოლეონი რევოლიუციონური და განმათავისუფლებელ ომების ნიღაბ ქვეშ ძაძაში ახვევდა მთელს ევროპას. თუ ის სანტიმენტალურია, ორმოც და მერვე წლის ცნობილ პირის, ლამარტინის, წყლიანი ენით დაკმაყოფილდება, ხოლო თუ ცოტას მოიპატრიოტებს და იმავე დროს მოისოციალისტებს, იაკობინელ კომუნარის დელაკლიუზის სიტყვებს და მოქმედებას გაიხსენებს. საფრანგეთის ისტორიის აუარებელი თვალ წარმტაცი სურათები სახავენ ერის კოლექტიურ და მისი შემადგენელთა ინდივიდუალურ განცდას. ყოველივე ეს მრავალ ფეროვანია და ცვალებადი, როგორც ფრანგი ინტელიგენტის შეხედულება. სურათი თვალთახედვის ისრიდან არის დამოკიდებული, ის სკეპტიკურია, ხოლო ამ სკეპტიციზმის საუკეთესო გამომხატველი მწერლობაში ანატოლ ფრანსია. ფრანგი ინტელიგენტი, საერთოდ, დამცინავია. ხშირად დასცინის ისტორიულ გმირებს, ნაცნობ-უცნობებს და თავის თავსაც. მისი დაცინვა ირონია არ არის მწარე, არამედ მოალერსე, მსუბუქი შესახებად, ხოლო ღრმა შინაარსით. ასეთია ანატოლ ფრანსიც. რას დასცინის ის? უმრავლეს შემთხვევაში სურვილების და შედეგის წინაალმდეგობას. როდესაც გინდა ერთ ოთახში შეხვიდე და თავს მეორეში ამოყოფ. მოვიყვანოთ მრავალთაგან ორი მაგალითი: „ტაისის“ ერთი გმირთაგანი, პამფუსი, შორდება ადამიანთა კრებულს, მის ვნებათა ღელვას და ცდუნებას. მივარდნილ მთის კიდის გამოქვაბულს თავს აფარებს და ლოცვას შეუდგება. მდგომარეობა ისეთია, რომ წმინდანათ უნდა გადაიქცეს. მიზანი თითქმის მიღწეულია, შორეული კუთხის მცხოვრებნი შეიტყობენ, რომ ახალი წმიდანი, პამფუსი გაჩენილა. მთის ძირისკენ მიეშურებიან დავრდომილები. თან მოყვებიან ახალ ახალი ჯგუფები. ახლავთ ოჯახობა და ნათესავები. ჯერ ასობით, შემდეგ ათასობით. წმიდანს შუამდგომლობას თხოვენ უმაღლეს არსების წინაშე. პამფუსი მათ, რასაკვირველია, ვერ ხედავს. მთის ძირში მათთვის იხსნება სასტუმროები, სასადილოები, გასართობები. ჩნდება მაგარი სასმელებიც. ხალხი თვრება, რასაც აყალ-მაყალი მოყვება. წეს-რიგის დასაცავად გაჩნდება საერო მილიცია თავისი უფროსებით. ჩნდებიან მეძავი ქალები, იწყება ქურდობა, აწესებენ საიდუმლო პოლიციას. ამ ნაირად შენდება ცდუნების ახალი საბუდარი და ყველაფერი ეს ხდება ჩვენი საცოდავი პამფუსის გარშემო, მის შეუმჩნევლად, მაგრამ მისი სადიდებლად და მიზეზით. ეს უდიდესი ირონიაა არა მარტო სასულიერო, არამედ საერო, ეგრედ წოდებულ, „წმინდანებზე“.

აი მეორე მაგალითი „აბატ კონუარის“ ალსარებიდან. ქალაქ დამასკმა შვიდი მმართველი გამოიცვალა, ერთი მეორეზედ უსასტიკესი. როდესაც ახალი მმართველი მოვიდოდა, ხალხი ევედრებოდა ზეციურს, რომ მას ჩქარა სული განშორებოდა. მმართველი კვდებოდა, მაგრამ ქალაქს უფრო სასტიკი ევლინებოდა, რომელსაც ხალხი ჩუმად წყევა-კრულვით იხსენიებდა. მეშვიდე სასტიკ მმართველს მისმა ჯაშუშებმა მოახსენეს, რომ ერთი ქალი, მის მიერ განაწარები, ყოველ დღეს ლოცულობს ტაძარში მმართმელის დღეგრძელობისთვის. ქალი მოიხმო დესპოტმა და კითხა ამ არაჩვეულებრივი ამბავის მიზეზი. მან უპასუხა: „აშკარაა, რომ მერვე თქვენზე უარესი დესპოტი იქნება და ბარემ თქვენ იცოცხლეთ დიდ ხანსო“. ცხოვრების ასეთი ირონია ბუნებრივად მოსწონს სკეპტიკურად განწყობილ ადამიანს და ის აღტაცებით კითხულობს ანატოლ ფრანსს...

ცხედარს აცილებდა წვრილი, მესაკუთრე, ბურჟუაზია, რომელიც იკლაკნება ფინანსიურ ოლიგარხიის უღელ ქვეშ და რომელსაც ის ებრძვის თავისებურად. ამ ბრძოლას ის ხატავს, სხვათა შორის, სოციალისტურად შეკაზმულ ფრაზეოლოგიაში. არც ერთ ქვეყანაში (გარდა, შეიძლება, საქართველოში) არ არსებობენ იმდენი სოციალისტური სახელის მატარებელი პარტიები, რამდენიც საფრანგეთშია. რადიკალ-სოციალისტები, საერთოდ წვრილ ბურჟუაზიული (დღეს მმართველი) პარტია; დამოუკიდებელი სოციალისტები, პენლევეს მეთაურობით— ინტელიგენტურ-ხელოსნურ შემადგენლობის, ეროვნულ სოციალისტური პარტია ადმირალ ჟორესის (დიდი ჟორესის ბიძის) მეთაურობით, გაერთიანებული სოციალისტები (მეორე ინტერნაციონალიდან), კომუნისტური პარტია (მესამე ინტერნაციონალიდან), კომუნისტურ-სოციალისტური (ფროსარის მეთაურობით, რომელსაც ჯერ არ ყავს თავისი ინტერნაციონალი და ამ ჟამად პრიგუნად ცხოვრობს, სინდიკალისტები, ანარქო-სინდიკალისტები და სხ. დიდი ნაწილი ამ პარტიების წვრილ-ბურჟუაზია თავისი შემადგენლობით და პროგრამითაც, მაგრამ სწორედ მათ რიგებში მებრძოლად ხშირად გამოდიოდა ანატოლ ფრანსი. ასე იყო კომბის სამინისტროს დროს, როდესაც ეკლესია სამუდამოდ გამოეყო სახელმწიფოს. ასე მოხდა დრეიფუსის საქმის დროს, როდესაც ის ემილ ზოლას და ჟორესს უდგა გვერდში და მონარაქისტ-კლერიკალებს ებრძოდა. წვრილ ბურჟუაზიულ წრეებს ახსოვთ ეს ბრძოლა და პატივით ეპყრობიან ერთ მის მედროშეთაგანს. არც ერთს ქვეყანაში არა აქვს ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას ისეთი ისტორიული წასული, როგორც პარიზისას. დაწყებული დიდი რევოლიუციით, მიყოლებული ოთხმოც და მერვე წლის პირველი ეტაპით და ნაწილობრივ კომუნის დროს, წვრილ ბურჟუაზიას უნახავს გამარჯვება და განუცდია ის

ალტაცება, რომელიც მთებსაც კი გადაჯგუფებდა. ისიც საკმაოდ სკეპტიკოსია, რომ იგრძნოს ანატოლ ფრანსის შემოქმედების ლეიტ-მოტივი.

მაგრამ რატომ უყვარდათ ფრანსი საფრანგეთის და კერძოდ პარიზის მუშებს? ის ხომ არ იყო პროლეტარული მწერალი, არც აღზრდით და არც შემოქმედებით მას პროლეტარიატის სულიერი განცდა და მისწრაფება არსად არ დაუსურათებია. შეგნებული მუშა კრიტიკულად მოაზროვნე უნდა იყოს და არა სკეპტიკოსი. გ. ბრანდესის სიტყვით, ან. ფრანსი ყველა მოვლენას ეჭვის თვალით უცქეროდა. „ხოლო ვინც ხედავს საგნების მრავალმხრივობას, ადამიანებისადმი ინტერესს მათდამი სიძულვილში დამარხავს ამ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია ბრძენ-პესიმისტობიდან უხეში ძალ-მომხრეობის მომხრედ გადაქცევა· ანტოლ ფრანსს ემუქრებოდა ეს შესაძლებლობაო“. შეიძლება საერთოდ ეს მართალი იყოს. მეტსაც ვიტყვით. ყველა ადამიანს ემუქრება ავ და კარგ სულად გადაქცევა, რადგანაც მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას. მართალია, ანატოლ ფრანსი სკეპტიკოსი იყო აზროვნებით, მაგრამ თავისი განცდით და უკანასკნელი თვისებით ის ძლიერ წააგავდა მის მეგობარს ჟან ჟორესს. რაც უნდა წაიბორძიკოს ჰუმანისტმა, მეტ ნაწილად ის დარჩება ადამიანთა მიმართ სიმპატიით გამსჭვალული. სოციალურ ჭიდილში ფრანსი მუშების მხარეზედ იყო. ეს უფრო მისი გრძნობების შედეგია, ვიდრე აზროვნების. ფრანსი სოციალისტი, თუ გნებავთ კომუნისტიც, იყო და არც იყო. რამდენადაც კოლლექტივიზმი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე განსაზღვრული შეხედულებაა, ის ანატოლ ფრანსს ბუნდოვანად ესახებოდა, ხოლო რამდენადაც კოლექტივიზმი გარკვეული მსოფლ მხედველობაა, ანატოლ ფრანსი მას მოკლებული იყო. რაც შეეხება მის სულიერ განცდას, ისტორიულ პროცესში ხშირად ვაება გადატანილ ადამიანთა კრებულს ის უაღრესად თანაუგრძნობდა, ხოლო მუშათა კლასს, როგორც ყველაზედ მეტად დაჩაგრულს, ის აშკარად ემხრობოდა და ესარჩლებოდა. ეს გამოსარჩლება ყოველთვის იყო გულადი და მოურიდებელი. ამას აფასებდენ მუშები და ათი ათასობით შემოკრბენ მის საფლავის გარშემო.

ყველა კი ერთად, რომელნიც თანაგრძნობით აცილებდენ უდიდეს სკეპტიკოსის ცხედარს, უსათუოდ გრძნობდენ, რომ მათ დაკარგეს ლამაზი და დახვეწილი სტილის მწერალი, რომლის ენა ერთ და იმავე დროს ისეთივე მსუბუქი იყო, როგორც ჩვენი აკაკის და დინჯი, როგორც ი. ჭავჭავაძის. აკადემიკოსი ანატოლ ფრანსი თვითონ ასახიერებდა ფრანგული ენის აკადემიას.

**ბიქტორ თევზაია.**

# ბაიეროიტის თეთრი დედოფალი

**(წერილი გერმანიიდან, საკუთარი კორესპონდენტისაგან)**



**ვაგნერი, მეუღლე მისი—კოზიმა და შვილი ზიგფრიდი.**

საზარელი ომის დასაწყისის ათის წლის თავს მთელი გერმანია უდიდესის მწუხარებით შეხვდა. კვირას, 3 აგვისტოს, გაერთიანდა მთელი ერი მძიმე სევდით. სრულ 12 ს. ყველგან დაბლა დახარეს დროშები და 2 წუთით შესწყდა მთელ გერმანიაში ყოველგვარი მოძრაობა: ლოკომოტივები, ავტობუსები, ტრამვაი, ადამიანები თითქოს გაიყინენ ერთ წერტილზე და ჩუმი ლოდივით მდუმარე მჭუხარებით, რაც მარტო გერმანელთ სჩვევიათ, გადაიჯაჭვა ყოველივე. ვინ იცის—ვინ რას ფიქრობდა ამ მდუმარებისას: და განა ცოტა მსხვერპლი მიუტანია თვითეულს ამ უაზრო ომში?.. განა ცოტაა მოსაგონარი დამარცხებულისათვის, ვინც გამარჯვებასთან ასე ახლოს იყო?.. მაგრამ ერთ ხაზს ყველგან და ყველაფერში შეამჩნევდით: სიმტკიცე, ძლიერი ნება და იმედი აღდგომისა,—დანაკლისის ანაზღაურებისა...

და მათ ჰქონდათ ამის უფლება; მიუხედავათ ვერსალის მძიმე ბორკილებისა, გერმანია მაინც გასწორდა, გაიმართა და აღმშენებლობის და თავისუფალ შემოქმედების გზით გასწია. ვერავითარი კონფერენციები და ოკუპაციები ველარ შებოჭვენ მის შემოქმედებით ძალას.. ამაში დღეს მისი მტრებიც კი დარწმუნდნენ... მაგრამ არა მარტო ნივთიერი კულტურა იქმნება და გროვდება ხელახლა აქ, არამედ სულიერიც, რომელიც ომმა გააპარტახა... გერმანიის მეცნიერებას პირველობის დროშას ტყვილა ეცილებიან და მისი ხელოვნებაც უკვე ძველ სიმაღლეზე ადის. ამის ნიშნები ბევრია—მე მარტო ერთზე შევჩერდები, რომელიც ასევე ომის გამოცხადებიდან 10 წლის მდუმარების შემდეგ, ერთბაშად და ძლიერად ამეტყველდა.

ეს არის გერმანიის ელლადა, მისი პატარა ბაიეროიტი.

თუ მაჰმადიანი მექაში და ებრაელი იერუსალიმს მიილტვის ვით მათთვის უწმინდეს ადგილს, მთელი ქვეყნის დიდი მუსიკოსნი და ხელოვანნი წელიწადში ერთხელ პატარა ბაიეროიტში ძველ ნურენბერგის ახლოს იკრიბებიან, რომ ხელოვნების დიდ ტაძარს, **რიხარდ ვაგნერის** თეატრს თაყვანი სცენ, ვაგნერის უკვდავი ოპერებით დასტკბენ.

საინტერესოა ისტორია ევროპის ხელოვნების ამ ცენტრისა: ვაგნერის ლაღი ბუნება ვერ შერიგებოდა არსებულ თეატრებს, მას არ უნდოდა თვისი შემოქმედება

თეატრებისათვის შეეგუებინა; მის ორიგინალურ და გენიალურ შემოქმედებას, რომლის უძლიერესი არტისტი, რეჟისორი, კონპანისტი და პოეტი თვითონვე იყო, ესაჭიროებოდა აგრეთვე თვისი საკუთარი თეატრი. მისი დიდი ბუნება არავის ემორჩილებოდა,—ის თვითონ იმორჩილებდა სხვებს. და როდესაც მას მოერია დიდი წყურვილი—ხელოვნებიდან—მუსიკიდან ახალი სახალხო რელიგია შეექმნა, მან გადასწყვიტა სადმე, მითიურ ადგილას საკუთარი თეატრი აეგო, რომელიც მართლა შეეფერებოდა მის ზღაპრულ გმირებს... ჯერ განზრახული იყო ძველი ისტორიული ქალაქი ნიურენბერგი, მაგრამ ბოლოს მასზე მაინც პაწია ქალაქმა ბაიეროიტმა გაიმარჯვა, რომელიც, სრულიად მიკარგულია, ფიხტელგებირგეს ძირას იშლება. ბავარიის მეფემ ლუდოვიკემ აუგო აქ ვაგნერს საზღაპრო ტაძარი ხელოვნებისა და დღესაც ის ხელოვნების მექა-იერუსალიმად ითვლება. აქ გაატარა თავისი აჯანყებული ცხოვრება დიდმა მუსიკოსმა და თვითეული ქვა მის მიერაა ჩადგმული. აქ დალია დიდმა მუსიკოსმა ლისტმა თვისი უკანასკნელი წლები და აქვე სამუდამოთ წაეყარა მის ხელებს მიწა, აქ სცოცხლობდა, პოეტობდა და განისვენა იოჰან პაულმა; აქვეა ლისტის ქალიშვილი კოზიმა, ცოლი ვაგნერისა, მისი სულიერი მემკვიდრე.

და აი სწორედ 10 წლის წინად შესწყდა აქ მაჯის ცემა... ომის ჯავშნიანი ფრთები დააწვა ამ ნაზ არქიტექტურას და მისი მუსიკა დიდის ხნით ჩაჰკლეს... დაკარგა ცენტრი, სული ევროპის ხელოვნებამ—ისიც სისხლით დამთვრალმა მარსმა უგულოდ დააკლა თვით სამსხვერპლოს. თითქმის აღარავის სწამდა მისი აღდგომა—და ან კი ვის ეცალა მისთვის, როცა ცეცხლის ყიჟინა ჯერაც არ მინელებულა?!. გარნა იყო არსება, რომელიც ამ ჯავშნიან ფრთების ქვეშ მოჰყვა, მაგრამ გაძარცულ ტაძარს მაინც არ განშორდა. მას სწამდა ამ ტაძრის აღდგომა.

ეს იყო ფრაუ კოზიმა...

1883 წლიდან, თვისი ქმრის სიკვდილის დღიდან ის შეიქნა პირველი ქურუმი ამ საიდუმლო ტაძრისა. ის დაბადებით მუსიკალურ წრეს ეკუთვნოდა და ვაგნერმა უფრო გააღრმავა მასში ლისტის მემკვიდრეობა. ეს ქალი იყო მთავარი რეჟისორი, დირიჟორი, კომენტატორი ვაგნერის შემოქმედებისა. მან იცოდა ზედმიწევნით სწორად ყველა როლები ქალების და კაცების; რეპეტიციებზე ის ყველა ამას თამაშობდა შესაფერის ტონით, მიმიკით და ცეკვით.. თითქოს ბაიეროიტში 1883 წლიდან არაფერი არ შეცვლილიყოს. ყოველმა დამკვრელმა იცოდა, რომ ვაგნერის მახვილი სმენა ამ ქალში იყო და ის ოდნავ სიყალბეს იჭერდა.. ყველა მიყვებოდა მის მომხიბლავ ხელმძღვანელობას და ბაიეროიტს, მეფის სიკვდილის შემდეგ, ჭეშმარიტი დედოფალი მოევლინა. მან იცოდა დედოფლობაც... ის ნამდვილი მუსიკის დედოფალი იყო და „მაესტრეტებს“ და მომაკვდავებს ერთნაირის ღირსებით და დარბაისლობით იღებდა თავის სამეფოში. და როცა 78 წლის მოხუცს ამ სამეფოს კარები მაგრა ჩაუკეტეს, ის მაინც გულს არ იტეხდა; დიდებულ ქურუმის ანდერძს გულში იხვევდა და უცდიდა მოთმინებით ბაიეროიტის აღორძინებას. რა გერმანული სიმტკიცეა!.. ჩვენ ხომ უკვე 30 წლისანი ყველა იმედს ვკარგავთ... და სწორედ 10 წლის თავზე თითქოს ჯადოსნურის ძალით გაიღო ეს კარები და 88 წლის გათეთრებული ფრაუ კოზიმა ისევ დღესასწაულობს პატარა ბაიეროიტში, და მასთან ერთად—მთელი ქვეყნის ხელოვნება.

დაუჯერებელი ამბავია!.. ჯერ კიდევ ამ ნახევარი წლის წინ არავის სწამდა ეს. განიავებული თეატრის აღდგენა სრულიად შეუძლებელი იყო, მას აუარებელი თანხა სჭიროდა, რის შოვნის იმედი ვაგნერის ვაჟმა ზიგფრიდმა თითქმის დაჰკარგა. მაგრამ ხელოვნების ძალამ ბოლოს მაინც სძლია ამერიკელ დოლარებს—ზიგფრიდის საკონცერტო ტურნე ნივთიერად ჩინებულად დამთავრდა.

ათის წლის წინათ, ომის გამოცხადების დროს 1914 წ. 1 აგვისტოს „პარსივალი“-თ შესწყდა ვაგნერის ოპერათა ციკლი ბაიეროიტში და 1924 წ.—ათის წლის პაუზის შემდეგ—„პარციფალი“-თვე დაიწყო ახალი ციკლი... და როგორ შეეძლო ფრაუ კოზიმას, ვინც ამ დღით სცოცხლობდა, ამას ელოდა—ერთხელ კიდევ არ ენახა თვისი ქმარის გენიალობა, არ მოესმინა მისი წარმტაცი—სიცოცხლის ენერგიის მომგვრელი ჰანგები. დღეს ღრმა მოხუცი დედა, მისმა ახალგაზრდა ვაჟმა ზიგფრიდმა შესცვალა ხელმძღვანელობის როლში—მაგრამ ძველ დედოფალს ხომ უნდა ენახა მკვდრეთით აღმდგარი თვისი სამფლობელო და თეთრი მოხუცი გამოჩნდა ავტოთი...

მთელი ზღვა ხალხი და 500 მონაწილე მხურვალედ ესალმებიან მას. და ისიც სალამის ნიშნად დამჭკნარ ხელს უქნევს მაყურებლებს.

დღეს ერთხელ კიდევ ზეიმობს დედოფალი ბაიეროიტისა და მის ჩაღრმავებულ თვალებს სიხარულის ცრემლები რწყავენ...

ასე აღსდგა ბაიეროიტი, რომელიც ომმა ჩაკეტა, მაგრამ ვერ ჩაჰკლა. სალამი მის თეთრ დედოფალს!...

**თამარ გოგოლაშვილი.**

ქ. ნიურენბერგი (გერმანეთი)
1924 წ. აგვისტოს 14.



## ბავშვების დრამატიული დასი

მასწავლებელ ქალის **ქეთო ტატიშვილის** (*) ხელმძღვანელობით, რომელმაც გასულ ზაფხულს 5—6 წარმოდგენა გამართა წაღვერსა და ბაკურიანში. დასში არიან მოცეკვავენიც (ბალერინები). ქეთო ტატიშვილს განუზრახავს საბავშვო თეატრის საქმე საგანგებოდ შეისწავლოს, რისთვისაც მოსკოვს აპირებს წასვლას. საბავშვო დასში ირიცხებოდენ: დოდო ალ. ალექსიძე (მარიჯანისშვილი), ტანია (გვარი ვერ გავიგეთ), ქსენია და ლიუბა გიგოლოვები, თამარ და ანეტა ფარსადანიშვილები, არჩილ და მერი—ბუდუ მდივნის შვილები, კლარა—რაჟ. კალაძე, ქეთო ლანდია, გედა ივ. ბოლქვაძე, ქეთო იოს. იმედაშვილი, თამარ გ. გორდეზიანი, ნუკრი ტატიშვილი.

## ქანდაკება

(დასასრული. იხ. „თ. და ც. № 15—18)

**ლევ**. ჩემო კარგო! ნაკვერჩხალი დასდო. როგორ ერთბაშათ აცივდა? წრეულს ადრე დაგვიზამთრდება.

**ქეთ**. (მამას მუხლზე თავს დასდებს და ბუხრის თავზე საათს უცქერის). ტიკ ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ ტაკ!

**ლევ**. რა პატარა კოლოფშია მოქცეული დაუსრულებელი დრო!

**ქეთ**. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ტიკ ტაკ! (პაუზა).

**ნინო**. (შემოდის. ბუხრისკენ გაიხედავს და ხმა ამოუღებლივ ტუალეტთან დაჯდება. შლიაპას მოიხდის და თმას გაისწორებს. სარკეში იცქირება და ისე ლაპარაკობს). ლამფა აანთეთ!

**თამ**. სამოვარი დავდგა?

**ნინო**. აქამდის რას აკეთებდით?

**თამ**. რა ვიცი, იქნება დაიგვიანოთ მეთქი! ლევანიც ეს არის ეხლა მოვიდა.

**ნინო**· რამდენჯერ მითქვამს, ნურავის უცდით მეთქი!

**თამ**. რა ვიცი, შვილო, რა ვიცი.

**ნინო**. არ ვიცი, რა ვიცი, მაშ, რაღა იცით? (თამარი ჩუმათ გადის. პაუზა).

**ქეთ**. (საათს უცქერის). ტიკ-ტაკ ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ.

**ლევ**. დრო მაინც თავისას არ იშლის. მიჰქრის და თან ჩვენი სიცოცხლეც მიაქვს.

**ქეთ**. ხვალინდელ დღეს კი მაინც მოუთმენლად ველით.

**ლევ**. იმიტომ, რომ ადამიანი იმედითა სცოცხლობს მომავალი უკეთესად ესახება. თავისი საცოდავი ხელები, სევდიანი თვალები ხვალინდელ დღისკენ მიუპყრია იმ იმედით, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნება.

**ნინო**. (ლევანის კაბინეტის კარებს გამოაღებს) აქ მობრძანდით, არჩილ, არა უშავს რა. აქ უფრო თბილა, ბუხარი ანთია.

**არჩ**. (შემოდის) თუ საწინააღმდეგო არაფერი გექ ნებათ და კადნიერებათ არ ჩამომერთმევა, ბუხართან გათბობა ურიგო საქმე არ არის

**ნინო**. ბუხართან დაბრძანდით. (ლევანი წამოდგება და უსიტყვოდ მეორე მხარეს სკამზე გადაჯდება).

**არჩ**. ბრძანდებოდეთ, ნუ სწუხდებით.

**ნინო**. (სავარძელზე მიუთითებს). დაბრძანდით.

**არჩ**. უნდა მოგახსენოთ, ძალიან აცივდა, დიახ, ძალიან აცივდა! უცხოეთში ბევრს ადგილას ვყოფილვარ და ასეთი სიცივე ამ დროს არ მინახავს.

**ნინო**. ვინც საზამთროდ კარგათ არის მოწყობილი, იმას რა უჭირს! ჩვენ ჯერ შეშაც არ გვიყიდია. არც არავინა ფიქრობს ამაზე. დღესაც შეშა მეზობლისაგან ვისესხე. როდემდის გაგრძელდება ასე, არ ვიცი. (ლევანი ოთახში გაივლ-გამოივლის და კაბინეტში გადის. ნინო თვალს გააყოლებს). აი სულ ესე გაჩუმებული დადის, თითქოს სრულიად უცხო კაცი იყოს და ოჯახის გაჭირვება მას არ შეეხებოდეს. ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ყოველივე ჩემი ცდა უნაყოფოდ იკარგება. ყოველ დღე უფსკრულისკენ მიექანება და ჩვენც მიგვაქანებს.

**არჩ**. საშინლად გამხდარა, ავად ხომ არ არის?

**ნინო**. მთელი მისი სიცოცხლე განა დაუსრულებელი ავადმყოფობა არ არის? თითონაც ავადმყოფია და მეგობრებიც ავადმყოფი ხალხი ჰყავს.

**არჩ**. როგორმე უნდა ჩამოვაშოროთ, დიახ, უნდა ჩამოვაშოროთ, საშინლად გამოცვლილა გაყვითლებულა, თვალები როგორღაც ჩასცვივნია. უცხოეთში მაგას აუცილებლად საავადმყოფოში დააწვენდნენ. ჩვენში კი, როგორც მოგეხსენებათ, საშინლად დაუდევარი ხალხია, დიახ, დაუდევარი ხალხია. ლევანი კი ძალიან გამხდარა.

**ნინო**. უდიდესი განსაცდელის წინაშე ვდგევარ. ერთი რამ ნამდვილათ ვიცი: ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. დაღუპვა აუცილებელია. დაე საშინელმა ამბავმა მთელი ჩვენი არსება შეარყიოს! დაე მოხდეს თუნდაც უბედურება, ოღონდ კი ეს საშინელი ბურუსი განიფანტოს და კვლავ ძველებური ცხოვრება დაგვიბრუნდეს.

**არჩ**. უბედურება ღმერთმა გაშოროთ.

**ნინო**. (მცირე პაუზის შემდეგ). იცით თუ არა, რომ ქანდაკება იმ ქალის გამოხატულებაა?

**არჩ**. რა ვქნათ! მხატვრის წესი ეგეთია. უნდა მოგახსენოთ, რომ უცხოეთში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ ეჭვიანობა ამ შემთხვევაში, გარწმუნებთ, უადგილო იქნება, ენდეთ ჩემს გამოცდილებას.

**ნინო**. ქანდაკებას იმ ქალის მკლავები აქვს, იმ ქალის ქალწული გულ-მკერდი. ეს იმ ქალის მუხლებია! ტიტველა მუხლები. ამ მუხლებს ყოველ დღე ჰკოცნის და ეალერსება.

**არჩ**. ქალბატონო ნინო!

**ნინო**. ვიცი, ვიცი! ტყუილად ნუ შეეცდებით გადაჯერებას. ვიცი, ვიცი! ქალი კი ამაყადა სდგას, მედიდურად ვნებით აღფრთოვანებულ ვაჟს დასცქერის და მის დიდს თვალებში თითქოს დაცინვა იხატება. დასცინის, დასცინის იმას, ვინც ქურდულათ კოცნასა ჰპარავს...

**ლევ** (კარებში გამოჩნდება. აღელვებულია. თვალები გაჰგანიერებია. ცახცახებს). რა სთქვი? რა სთქვი?

**ნინო**. (მტკიცედ გაიმეორებს). ქანდაკება დასცინის იმას, ვინც ქურდულად კოცნას ჰპარავს.

**ლევ**. შენ, ნახე ქანდაკება!

**ნინო**. ამაყად მდგარი ქალი, რომელიც...

**ლევ**. ჩუმად.

**ნინო**. ხომ არ გეშინიან...

**ლევ**. მეშინიან! მეშინიან ხლიკვად არ გადაიქცე და ლობის ძირში ვინმემ თავი არ გაგიჭეჭყოს. შენ ხლიკი ხარ.

**ნინო**. ლევან!

**ლევ**. ეგრე ჩუმად მარტო ხვლიკები დაძვრებიან. შენ თვალწინ გასრიალდება და სადღაც სხვაგან ამოჰყოფს თავსა. შენც ხვლიკივით დაძვრები. გაფრთხილდი კი ქვით თავი არ გაგიჭეჭყონ.

**ნინო**. თუ შენს დასახსნელად ეს საჭიროა, დაე ეგრე იყოს. სიკვდილის არ მეშინიან.

**ლევ**. მაშ სანამ მოკვდებოდე, ეცადე ხვლიკად გადაიქცე.

**ნინო**. სანამ მოვკვდებოდე, ვეცდები განსაცდელისაგან დაგიხსნა. (ცრემლ-მორეული) სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ვეცდები შენი გაბოროტებული გული მხურვალე ცრემლებით გავათბო. ეს იქნება ჩემი უკანასკნელი პასუხი შეურაცხყოფისა და დამცირებისა.

**ლევ**. (იცინის) მომავალი სულგრძელობით ეხლავე

სტკბები და გასამჯელოსა თხოულობ თვალთმაქცური გრძნობისთვის, რომლითაც ყოვლად უპატიოსნო ქურდობა გინდა დაჰფარო.

**ნინო.** როგორც შენ მალავ მოპარულ კოცნას, ამაყად მდგარი ქანდაკება ელენეა, ელენე, რომელიც შენს ავადმყოფ სიყვარულს დასცინის... ქალწულის ფეხი იმიტომ გაგიშიშვლებია, რომ ზედ შეგდგეს და გაგსრისოს როგორც...

**ლევ.** როგორც ხვლიკი! (იცინის) როგორც ხვლიკი!

**ნინო.** ღმერთო ჩემო! რა საშინელებაა!

**ლევ.** როგორც ხვლიკი? (იცინის) როგორც ხვლიკი!

**ნინო.** ეგრე ნუ მიცქერი, ლევან! ღვთის გულისთვის ეგრე ნუ მიცქერი! ნუ მიცქერი, თორემ სასოწარკვეთილება საბედისწერო ნაბიჯს გადამადგმევინებს და ვინანებთ. ორივენი ვინანებთ.

**ლევ.** რა უნდა ჰქნა, ბოლო მაინც ერთნაირია. ქურდს ციხეში ამწყვდევენ; ბორკილს ადებენ და ციხეში ამწყვდევენ. შენც ქურდი ხარ. ჩუმად მოიპარე სახელოსნოში, შენი მწვანე, ბოროტი, გესლიანი თვალები მიაპყარი იმას, რასაც დღემდის ყველასათვის საიდუმლოდ ვინახავდი. მაგრამ ქანდაკება მაინც ცოცხალია. შენ კი, შენ ხვლიკი ხარ! (იცინის) ხვლიკი ხარ!

**ნინო.** კმარა, ლევან! (გადაფითრებული) შენმა სინდისმა ზღოს უბედურება, რომელიც ჩვენს ოჯახში დატრიალდება!

**არჩ.** ლევან არ გაუშვათ! ღვთის გულისთვის არსად გაუშვათ!

**ნინო.** შენმა სინდისმა ზიდოს ეს ცოდვა, ლევან! (გადის).

**არჩ.** ლევან! დააბრუნეთ, ეხლავე დააბრუნეთ, თორემ მერე გვიან იქნება!

**ლევ.** (ჩელს დაუჭერს არჩილს და ბუხრისკენ წაიყვანს) დაბრძანდით!

**არჩ.** ველარ მოვიცდი! ეხლავე უნდა წავიდე.

**ლევ.** რათა ჩქაროპთ? ნუ თუ თქვენთვის სასიამოვნო არ არის ათი-თხუთმეტი წუთი მაინც ჩემთან სასარგებლო ბაასში გაატაროთ. მართალია ქალი არა ვარ, მაგრამ დროთა სიცარიელეს ყოველთვის ხომ ქალი არ შეავსებს? მეტადრე ისეთი ქალი, რომელსაც აღშფოთებული ნერვების დასამშვიდებლად სიმარტოვე ურჩევნიან

**არჩ.** თქვენი მეუღლე ძალიან აღელვებული წავიდა, ბატონო ლევან! მეშინიან, რაიმე უბედურება არ მოხდეს.

**ლევ.** გეშინიანთ თავი არ მოიკლას? ტყუილად შიშობთ. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი მეუღლე თქვენს სრულს განკარგულებაში იქნება.

**არჩ.** დრო და გარემოება ნებას არ მაძლევს, ბატონო ლევან, სათანადო პასუხი გავცე თქვენს ორ აზროვან სიტყვებს. თუ თქვენ საჭიროდ არ მიგაჩნიათ ეხლავე უკან დაედევნოთ თქვენს მეუღლეს და სახლში დააბრუნოთ, მაშინ მე ვიზამ ამას.

**ლევ.** თქვენ ყოჩაღი ხართ! დოლის ცხენივით შეგიძლიანთ ბარიერსაც კი უვნებლად გადაახტეთ.

**არჩ.** მე მივდივარ! (გადის).

**ქეთ.** (შემოვარდება აღელვებული, გათაფითრებული) მამიკო! ქანდაკებას უშველე, შენ ქანდაკებას უშველე!

**ლევ.** (საშინლად აღელვებული) რაო? რა სთქვი? (კაბინეტში გავარდება. ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტიდან საშინელი ყვირილი მოისმის. შეშლილივით შემოვარდება) გასალეები!.. სახელოსნოს გასალეები!.. (თმებში ხელებს წაივლებს და გავარდება).

**ქეთ.** (ქვითინით კრაოტზე დაეცემა) ღმერთო, შენ უშველე! (პაუზა).

**ზურ.** (დინჯად შემოდის. კოხტად შეკერილი მოსწავლის ტანისამოსი აცვია. ტუალეტთან მივა, სარკეში თმას გაისწორებს, ფრჩხილებს იწმენდს და ქეთინოს ისე ელაპარაკება) რა გატირებს?

**ქეთ.** უბედურებაა, უბედურება!

**ზურ.** პირველი ხომ არ არის, ვერ შეეჩვიე?

**ქეთ.** გრცხვენოდეს, ზურაბ! სახელოსნოში ვინ იცის რა უბედურება დატრიალდა, შენ კი აქ ასე უდიერად იქცევი!

**ზურ.** კარგია, თუ ღმერთი გწამს! ყველგან უბედურება გელანდება. წაიჩხუბნენ—ისევ შერიგდებიან.. (ტუალეტთან მივა) ო დე-კოლონი სად არის? არ გინახავს?

**ქეთ.** არ ვიცი!

**ზურ.** მაშ, რაღა იცი? ტირილი იცი?

**ქეთ.** თავი დამანებე! შენ ბოროტი ხარ!

**ზურ.** შენ კი განხორციელებული სინაზე და სათნოება!

**ქეთ.** თავი დამანებე!

**ზურ.** ნამდვილი საგიჟეთია!

**ქეთ.** გრცხვენოდეს! ეს საგიჟეთი შენი სახლია.

**ზურ.** მეც ეგ მაწუხებს! (სარკეში იხედება და თმას ივარცხნის) რა საძაგლად გამკრიჭა პარიკმახერმა. ხვალ ჩვენს სასწავლებელში საცეკვაო საღამოა. არ წამოხვალ?

**ქეთ.** არა.

**ზურ.** რატომ? მხიარულად გავატარებთ დროსა. დაპატიჟებული სტუმრებიც გვეყოლება. შენი კავალერიც იქ ქნება! აი ის, გრძელცხვირა.

**ქეთ.** უკაცრავათ! გრძელცხვირა!

**ზურ.** ოჰო! გეწყინა?

**ქეთ.** გრძელი ცხვირი როდისა აქვს!

**ზურ.** გრძელი ყურები ხომ აქვს. ეგ უარესი. მაშ, წამოხვალ?

**ქეთ.** არა.

**ზურ.** დღეს სულ სამზადისში ვიყავით. დარბაზი მშვენიერად იქნება მოწყობილი. წამოდი, ნუ დაიზარებ.

**ქეთ.** (ჩაფიქრდება. ამოიოხრებს) ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

**ზურ.** რა დაგემართა?

**ქეთ.** ნეტავი მიუსწრო თუ არა?

**ზურ.** ვინ მიუსწრო? რას მიუსწრო? გამაგებინე, რას ამბობ! (ლევანის კაბინეტიდან ნინო გამოჩნდება, გადაფითრებულია, აღელვებული. კედელს მიეყუდება; მერე ნელა გამოივლის, ხმა ამოუღებლივ ტუალეტის წინ სკამზე დაჯდება და ჩაფიქრდება. ქეთინო თვალს არ აშორებს ზურაბი ბუხრისკენ გაემართება და სავარძელში ჩაჯდება).

**ნინო.** ქეთინო!

**ქეთ.** (მოკრძალებით მიუახლოვდება) რა იყო დედა?

**ნინო.** ჩემთან მოდი! (წელზე ხელს მოჰხვევს) მოდი, გაკოცო.

**ქეთ.** (დედის წინ დაიჩოქებს) ხომ არაფერი გინდა, დედიკო?

**ნინო.** (შუბლში აკოცებს) არაფერი შვილო! აბა, თვალებში შემომხედე! როგორ ჰგევხარ მამასა, შვილო? (თვალებში აკოცებს).

**ქეთ.** (კალთაში თავს ჩაუდებს და ტირილს დაიწყებს) მაპატიე, დედიკო!

**ნინო.** რა გაპატიო, შვილო?

**ქეთ.** მე ცუდი ვარ! მაპატიე დედიკო!

**ნინო.** (ცრემლებს მოიწმენდს) იქნება მე უფრო ცუდი ვიყავი შვილო! კარგი, კმარა! ნუ სტირი! ეხლა შენს ოთახში წადი.

**ქეთო.** (მცირე პაუზის შემდეგ. გაუბედავათ) მამა მალე მოვა?

**ნინო.** მალე მოვა, შვილო, წადი! (ქეთინო გადის) შენ რაღას აკეთებ? მოდი ჩემთან! (ზურაბი მიუახლოვდება) მოდი, შენც გაკოცო. (შუბლში აკოცებს) ეხლა წადი. წენც წადი. (ზურაბი გადის). (ნინო კარგა ხანს დაფიქრებული ზის. მერე ადგება და კრაოტთან მივა) მორჩა! გათავდა! (ქვითინით ბალიშზე დაეცემა. დიდი პაუზა).

**ლევ.** (შემოდის. საყელო აწეული აქვს. თმები აბურძგნული შეშლილივით სივრცეს გასცქერის. ბარბაცით ბუხრისკენ წავა და სავარძელს დაეყრდნობა. უცბათ მოტრიალდება და კრაოტზე მწოლარე ნინოს რომ დაინახავს, მრისხანე მოელვარე თვალებით მისკენ გაექანება) აჰ!

**ნინო.** (წამოიჭრება) ლევან!

**ლევ.** შენ ხვლიკი ხარ, ხვლიკი!

**ნინო.** (შეშინებული) ლევან, ლევან, ეგრე ნუ მიცქერი!..

**ლევ.** (ყელში სწვდება) შენ ხვლიკი ხარ, ხვლიკი!

**ნინო.** ლევან, ჩემო ლევან! მიყვარს...

**ლევ.** (ახრჩობს) შენ ხვლიკი ხარ, ხვლიკი! (ნინოს უსულო გვამი მუთაქაზე გადაესვენება. ლევანი გაშტერებული უყურებს და ფეხაკრებით სცილდება).

**ქეთ.** (შემკრთალი შემოვარდება) მამიკო, მამიკო...

**ლევ.** (ტუჩებზე ხელს დააფარებს) ჩუმად... ჩუმად...

ფ ა რ და.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

## კულტ-მუშაობა „ზაჰეს“-ში.



1. პ. შიშინაშვილი—მუშკომის და კლუბის გამგეობის თავმჯდ., 2. შ. ჭიჭინაძე—მუშკომის მდივანი და კულტ-კომ. თავმჯ., 3. ვლ. სულთანიშვილი—დრამწრის ხელმძღვ., 4. ა. გაგნიძე—კლუბის გამგე, 5. გრაკლელი, დრამწრის ხელმძღვანელი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აშენების დაწყებიდან ისე გადიოდა თვეები, რომ აქაურ მუშა-მოსამსახურეთა შორის არავითარი კულტურულ განმანათლებელი მუშაობა არ წარმოებდა, რის გამო მუშათა გათვითცნობიერება შეფერხებული იყო. მშენებლთა კავშირმა საალმშენებლო უბანში დაარსა მუშკომი და ზაჰეს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის კულტ-მუშაობას დასაწყისი მიეცა. მუშკომმა გააუმჯობესა მუშების ნივთიერი მდგომარეობა, მუშათა დაზღვევა, ბინები და სხ. დიდის ზეიმით გაიხსნა კლუბი „მუშა და გლეხი“-ს სახელობაზე. ასეთი კლუბი ბევრს ჩვენს სამაზრო ქალაქს ენატრება; თეატრის მოწყობილობა კარგია. აქ თითქმის ყოველნაირი პიესა დაიდგმის, დარბაზი იტევს 500-600 კაცს. განათება და ვენტილიაცია დამაკმაყოფილებელია. შესდგა სხვა და სხვა წრეები, პროლეტ-კულტის მეთოდით გაიხსნა სამკითხველო ე. ნინოშვილის სახელობის, სადაც მოდის ყველა ჟურნალ-გაზეთი, აქედან ნაწილდება 296 ცალამდე გაზეთი კოლექტიურ ხელის მომწერთა შორის; სამკითხველოს მოეპოება ბევრი კარგი შინაარსის წიგნი სხვადასხვა ენაზე, გაიხსნა ლენინის კუთხე; თეატრს ჰყავს ადგილობრივი დრამწრე, რომელიც აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას. მოკლე ხანში გაიმართა 28 ქართ. წარმოდგენა, აგრეთვე მიდის წარმოდგენები რუსულ და სომხურ ენებზე. ხალხი აუარებელი ესწრება. უფრო ხშირად წარმოდგენები უფასოდ იმართება, ფასიანიც—ძლიერ იაფად. ჩვენი დასი ხშირად მიდის მახლობელ სოფლებში“ „ზაჰეს“ ის დრამ წრეს იცნობენ მუხრანი. ზემო-ხანდაკი, საგურამო, მცხეთა, ქსანი და სხ. სოფლები. კლუბთან არსებობს ქართული მომღერალთა გუნდი ამხ. ნ. გიგაურის ხელმძღვანელობით, თეატრს ჰყავს მუსიკალური წრე, პროფესიონალური და წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციისა. ბოლო ხანებში წერა-კითხვის უცოდინართა წრეში გაჩაღდა წესიერი მეცადინეობა; ბევრი ჩვენი გლეხი ამაყობს, რომ მუშაობის შემდეგ ისწავლა წერა-კითხვა. ამას დიდ ჯილდოთ იღებენ ჩვენი მუშურ-გლეხურ ხელის უფლებისაგან. მუშკომმა შეიძინა კინო-აპარატი, რომლის საშვალებით ჩვენ მუშები ეცნობიან ორიგინალურ სურათებს. მუშკომი და კულტკომისია ყოველთვის სცდილობს თივისუფალი დრო მუშებს გათვითცნობიერების შესაძენათ მოახმარებინოს (მუშაობს 2—3 ათასი მუშა).

შენე.

## ხალხური მღერლობა

### ფ ი ც ი

ვფიცავ შემომქმედს, ყოვლის მპყრობელს, კაცთ სასო იმედს,
ვფიცავ გაზაფხულს, მის მშვენებას,—შენს მკვლელ ბროლის მკერდს;
ვფიცავ მე შენსა სიყვარულსა, ვფიცავ რაც გულს ძგერს,
რომ შენ მიყვარხარ საუკუნოთ, ვფიცავ დედის რძეს,
თუ რომ გიმუხთლო, ვიწვებოდე უდაბნოს მწირსა,
სულით და ხორცით დავიტანჯო, ნუ შევხვდე ლხინსა,
სევდა-დუხჭირი გამიკრთობდენ შენზე ტკბილს ძილსა,
ვიყო ობოლი, ნუ ველირსო შენს ღვთიურ ჩრდილსა!..

**დათიკო გურჯანელი—დათუკიშვილი.**

# შრომისა და ბრძოლის პოეზია

**ქ. ნ. ზომლეთელი: ლექსები 1917—23 წ.**



**ნ. ზომლეთელი**

თუ ხელისუფლების დაპყრობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ზარბაზნებსა და ყუმბარებს აქვს, — იდეოლოგიურ ფრონტზე საჭიროა ინტენსიური, თანდათანობითი, ენერგიული მუშაობა. აქ სიტყვა-კაზმულ მწერლობას,ლიტერატურას უდიდესი საქმის გაკეთება შეუძლია თუ ის ალოს აუღებს მომენტის ბრძანებას. თანამედროვე ქართულ პოეზიასაც მართებს შეუხმატკბილოს თავისი სიმღერები ამ გიგანტიურ ბრძოლის რიტმს და თავი დაანებოს მოთქმა-გოდებას წარსულზე. ჩვენს საუკუნეს ესაჭიროება ბრძოლის სულით ანთებული, კლასობრივი ანტაგონიზმის ქარცეცხლში ამოვლებული შრომისა და ბრძოლის პოეზია.

ამ ნიადაგს აწოყიერებდენ ჩვენში ევდოშვილი, რუხაძე, ქუჩიშვილი, ჩხიკვაძე და სხ. ამ ნიადაგზე სდგანან ქართულ პოეზიაში პროლეტარული პოეტები, რომელთა რიგებში ნ. ზომლეთელს ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს. მისი პოეზია უსათუოდ მშრომელი გლეხკაცობის და მუშათა კლასის მისწრაფებათა და ზრახვების გამოხატველ-გამომსახველია. ის უმღერის როგორც გლეხკაცობას, ისე ქარხნის მუშებს, უთხზავს მათ ბრძოლის სიმღერებს, ამხნევს მათ და უკეთესი მერმისისაკენ მოუწოდებს. ზომლეთელი დიდი ხანია რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მისი პოეზია შრომისა და ბრძოლის სიმღერებია.

მე დედა-მიწა რკინით დავსერე,
წყალსა და ჰაერს ავსდე აღვირი,
წეს-კანონები რვალით დავსწერე,
ცეცხლით აღვაგზნე ბრძოლის საყვირი.
ადამიანთა ტანჯვის ტაძარზე
ცამდის აღვმართე შვების სამრეკლო,
რომ ახალ ყოფნის რიჟრაჟის ზარზე,
ძველი ქვეყანა ბრძოლით ამეკლო!..
სისხლით დავსწერე ეს განჩინება
და აღსრულება მივანდე მახვილს,
ქება, სახელი და წარჩინება
აღვაბეჭდინე მის გამოძახილს!..

ზომლეთელის ბევრი ლექსი სოფლის მშრომელი მასის ყოფა-ცხოვრების გამომხატველია:

ფეხ-ტიტველა, ულეჩაქო, თავლია,
დაწანწალებს დილიდან საღამომდის,
მუდამ შრომობს და მუდამვე მას შია,
ამ გრძნობის ქვეშ სიმწრით სული ამოსდის.
აი, თავზე დაუდვია მოკრული
დიდი ფუთა, სავსე ბჲოლის ფოთლითა,
სიმძიმის ქვეშ სწრაფად უცემს მას გული,
მაინც ჩქარის, სულ სველია ოფლითა.
(„სოფლელი პატარა ქალი“).

დიაღ, „მუდამ შრომობს და მუდამ მას შია“. და ასეთი იქნება ბედი ყველა მშრომელი ადამიანისა, სანამ არ მოისპობა კაპიტალისტურ საზოგადოების სოციალური უკუღმართობანი, სანამ არ დაინგრევა საბოლოოდ მთელ მსოფლიოში ის უსამართლობა, რომელიც საწარმოო საშუალებებს, ქარხნებს, მიწებს ერთ მუჭა მუქთახორებს ანიჭებს, ხოლო მშრომელ მასას ამ მუქთახორების მონათ ხდის. ოქტომბრის რევოლიუციის ზარმა პირველად ამცნო ქვეყნიერებას, რომ მოახლოვებულია კაპიტალიზმის აღსასრულის ჟამი მთელ მსოფლიოში, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ისტორიის განაჩენი სისრულეში მოვა და კომუნიზმის ცხოველმყოფელი ბრწყინვალე მზე

„თავს დაადგება ახალ სამყაროს
იგი ერთ ჯილათ და ერთ გვირგვინად:
მის ქვეშ რომ შრომის ბალმა იხაროს
და შიგ ცხოვრებაც გადიქცეს ლხინად!..“

**არჩ. ბუნებიშვილი.**

# ხალხურ თეატრის მოღვაწენი



**გიორგი თაზიშვილი**

წარსულ თვეში ტფილისში მოულოდნელად გარდაიცვალა ხალხურ თეატრის ერთი უანგარო მუშაკთაგანი გ. თაზიშვილი.

სასცენო მუშაობა დაიწყო 1904 წ. ქ. გორში რუსულ დრამატ.. დასში, 1907—10 წ. ტფილისში ვერისა და ავჭალის აუდიტორიებში. ამის შემდეგ კვლავ პროვინციას დაუბრუნდა: გორის მაზრაში ადგილობრივ ძალთაგან შეადგინა დასი. 1917 წლიდან სახალხო სახლში. 1921—22 წ. სახელმწიფო დასში მიიწვიეს, მაგრამ უარი განაცხადა. 1924 წ. შემოდგომიდან ნაძალადევის თეატრში გაიწვიეს რეჟისორ-ხელმძღვანელად ნათარგმნი აქვს პიესები: „ზნეობრიობის დამცველნი“, „საპყრობილე“, „ქალი ქუჩიდან“ და სხ. მისი მთავარი როლები იყო: გივი, გიორგი სააკაძე, ოთარბეგი, სპარტაკი და სხ. დაიკრძალა სამშობლო სოფელში.

ნოემბრის 12-ს, ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ვერაზე) მიწას მიაბარეს მეორე ნაამაგდარი სცენის მუშაკი რაფ. ჯიბლაძე. სცენაზე და მწერლობაში **რ. ჯიბილას** სახელით ცნობილი. სასცენო მუშაობა დაიწყო 900-იან წლებში ავლაბრის თეატრში, შემდეგ სახალხო სახლში და ხალხურ თეატრს უანგაროდ ემსახურებოდა. გურული გლეხის შვილი იყო, თვითგანვითარებული. უპირატესად იმერულ და გურულ როლებს ასრულებდა. ნიჭიერად კითხულობდა გურულ სცენებს. სწერდა იუმორისტულ ამბებს, სცენებს და სხ. მისი როლებ : ატაკუტა, მაქსიმე, კოხტაია გურგენ და სხ.



**რ. ჯიბილა**
(რაფ. ჯიბლაძე)

**ი.**

# სახელოვნო ქრონიკა

## თეატრი.

**ქართული დრამა**, დამსახურებულ მსახიობთა ამხანაგობის თაოსნობით, სეზონს იწყებს ორშაბათს, დეკემრის 1-ს, სახელმწიფო საოპერო თეატრში. დაიდგმის ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ალ. წუწუნავას რეჟის.

**ქუთაისში** სახელმწიფო აკად. დრამამ 1924—25 წ. სეზონი დაიწყო ა. შანშიაშვილის „ლატავრა“ თი, ი. ბარველის რეჟისორობით. შემდგარია რეჟისორთა კოლეგია: ვ. გუნია, ი. ბარველი, ი. ზარდალიშვილი და ალ. ყალაბეგიშვილი. დასში ირიცხება 27 ქალ-ვაჟი.

**სოხუმის** დრამ. წრემ. რეჟისორად მიიწვია მ. ჯულელი, მსახიობებად—ელ. სიბილა, მ. ქართველიშვილი, ტ. ერისთავი, ა. ჩხიკვაძე—სახალხო კომისართა ხარჯით. რეპერტუარი შერეული. წარმოდგენები—ალიოზის თეატრში. განზრახულია გასტროლები.

**თელავის** სახალხო სახლი უკვე დახურულია და შიგნიდან ილესება. ამის ერთი თაოსანთაგანი—გ. ჩხუბიანაშვილი ამ ჟამად ტფილ სშია და ამ სახლის გაუმჯობესების თადარიგშია (სხ. შორის მისი თაოსნობით, ამ სახლზე გაიმართება დიდი საათი, ღამე ელექტრონით გასანათებელი). ამ სახლის მალე დამთავრების ზრუნვაში არიან შალ. მათიკაშვილი, გ. ბაბაევი, ალმასკომის თავ. გ. ქურციკაშვილი და ინჟ. პატრაკანოვი, სეზონი დაიწყება 2 თ.

**ნიკო გოცირიძის** სახელობის სახ. სახლში (ყოფ. ავჭ. აუდ.) შესდგა სახალხო სახლის ქართ. დრამის მსახიობთა კოლექტივი (გამგეობაში—დ. ბაქრაძე, სოფ. რომანიშვილი-დგებუაძე და კ. ხახანაშვილი) ამათ გარდა კოლექტივში არიან: ანკარა, ბ. ასათიანი, ლ. ადამიძე, გ. ანაშვილი, ალ. ბადრიძე, გიორგაძე, შ. ვაზნიაკი, მ. თუშმალიშვილი, ქ. ლომოური, ლ. მესხიშვილი, ა. მეტრეველი. ვ. ძინდიაშვილი, მთვარაძე, სოსო რომანიშვილი, ალ. შავთიშვილი. მუდმივი თანამშრომლობა აღუთქვეს: რესპ. სახ. მსახიობმა ნ. გოცირიძემ, ელ. ჩერქეზიშვილმა. პიესებს ხელმძღვანელობს ალ. ბადრიძე. ფასი 10—30 კაპ. ბილეთები დაურიგდება—მუშებს ქარხანაში. პირველი წარმოდგენა—„მეზობლები“. ადგილი 300-დე.

## დრამატურგია.

**მგოსანი ი. გრიშაშვილ** ლექსად სთარგმნის ფულდის 3 მოქ. კომედიას „ვირის ჩრდილი“. პიესა დაიდგმის დრამსტუდიის მოწაფეთა მიერ და ქართულ დრამაში.

**ვ. მალაქიაშვილმა** დასწერა პიესა „პირველი იერიში“, განმანთავისუფლებელ მოძრაობის პირველი ხანიდან.

**ს. რემონიძემ** ა. ყუფისპირელის მოთხრობა „ტყის ძმები“ 5 მოქ. დრამად გადმოაკეთა.

## მწიგნობრობა.

**ქართული თეატრის ისტორიას** სწერს გრიშაშვილი.

**მარიჯახის ლექსების** მეორე რვეული „ჩემზე ჩემთვის“ ამ დღეებში გამოვა.

**სევ. თალაკვაძემ** დასწერა რომანი „ოჯახი“ სამ ნაწილად, გასაბჭოების და მისი წინა დროის რევოლიუციონურ მოძრაობის ხანიდან. აქ აღწერილია დედაკაცმამაკაცთა ურთიერთობის საკითხიც ახალი მსოფლმხედველობით, აღძრულია ზნეობრივ-უფლებრივი პრობლემები და სხ., რომელთა შესახებ ახლა კამათია პარტიულ მუშაკებსა და მწერლობაში. რომანი მოწონებულია და მოკლე ხანში დაიბეჭდება.

**ოვანეს თუმანიანის** რჩეული ნაწერები ი. გრიშაშვილის თარგმანი, მისივე წინასიტყვაობით, მივიღეთ. ამის განხილვა შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

**მოსკოვის სამუსიკო ქვე-გან** ბეჭდავს დიდ „ენციკლოპედიურ და სამუსიკო ლექსიკონს“. ორივე გამოცემაში შეტანილი იქნება აღმოსავლეთის მუსიკის ტერმინები. ამ ნაწილის ხელმძღვანელად მიწვეულია ჩვენი თანამშრომელი ორიენტალისტ-მუსიკოსი ალ. ოლანეზაშვილი.

**საიათნოვას თათრულ ლექსების** გამოქვეყნებას შეუდგა ჩვ. თანამშრომელი ალ. ოლანეზაშვილი. ამ მიზნით იგი იყო ერევნის ეროვნულ მუზეუმში. იქ დაცულ ავტორის ერთადერთ ხელთნაწერიდან გადმოიწერა თათრული ლექსები, რომლებსაც სათანადო შენიშვნებით და ავტორის ბიოგრაფიულ ცნობებით აქვეყნებს თათრულ გაზ. „იშიღ იოლ“-ში. საიათნოვას ქართული ლექსები გამოსცა ი. გრიშაშვილმა 1918 წ., სომხური—მოსკოვში ახვერდოვმა საკუთარის რედაქციით 1852 წ., რომელიც გადათარგმნილ იქნა გერმანულად, ფრანგულად და რუსულ ენებზე. საითნოვას თათრულ ლექსების თარგმანს მოკლე ხანში გამოვაქვეყნებთ.

**მომავალი 1925 წ. იანვრის 2-ს** სრულდება 75 წ., რაც თანამედროვე ქართული თეატრი დაფუძნდა (1850 წ. იანვ. 2-ს), ხოლო 15 წ, რაც ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ დაარსდა (1910 წ. იან. 2).

**რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები:** 1) გრიგოლ გოგიბერიძე: „ადამიანის წარმოშობა“; 2) კონ. გამსახურდია: „ქვეყანა რომელსაც ვხედავ“, წიგნი ნოველების; 3) სეზმ. ერთაწმინდელი: „ეშაფოტი“—ლექსები; 4) სიო ხიდისთაველი: პროლეტარული პოეზია, ტომი I; 5) ალიო ბუმერანგი: „მერეხი“, ლექსები; 6) საქართველოს ჯანსალკომის მიერ გამოცემული „კრებული სასანიტარო საგანმანათლებლო მუშაობის სასცენო მასალებისა“ (კრებულში დაბეჭდილია პიესები; ვ. ა. დიმოვის, სენო წერეთლის, ექ. ვილლის და ზანტურიდის); 7, ჟურნ. „მნათობი“ № 6; 8) პროფ. კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“, I ტომი, „ძველი მწერლობა“, ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა 1923 წ. 689.; 9) სიო ხიდისთაველი: „წამების ჯვარი“—მოთხრობა, 10) ნ. ინასარიძე: პოემა „ქარი“.

## მხატვრობა.

**ქართველ მხატვართა გამოფენა** გაიხსნა შაბათს, 29 ნოემბერს რუსთაველის პრ., კალოუბნის ქ. № 2. მონაწილეობენ სხვადასხვა მიმართულების მხატვრები, სულ 43, სურათი ორასამდეა. გამოფენაზე შესვლის ფასი 50—20 კ.

## სკოლის გარეშე განათლება.

**წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზ—ის** ტფ. განყოფილების ბიურო (თავმჯდ. ლ. სუხიშვილი, მისი ამხ. გ. ბუხნიკაშვილი) აწარმოებს საიგიტაციო კამპანიას, რომლის მიზანია ფართე საზოგადოებას გააცნოს ზემოხსენებულ საზოგადოების დანიშნულება, ნივთიერი საშუალებანი გამონახოს და თვით საზოგადოებ მოაწყობს.

საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად ტფ. კომუნალურმა ბანკმა გადასდო სამი ათას-ორასი (3200) მ.

## კინო.

**საქართველოს კინო-მრეწველობამ** დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მისმა უკანასკნელმა სურათმა „სამი სიცოცხლე" (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი"-დან) საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. საერთოდ ეს კინო მრეწველობა რუსეთსა და საზღვარ-გარედაც დიდს ყურადღებას იქცევს. დაწვრილებით შემდეგ.

— **გარდაიცვალნენ** ივ. პავ. როსტომაშვილი და ფ. რუშაველი, რომელთა შესახებ შემდეგში მოვათავსებთ წერილებს, აგრეთვე ძუკუ ლოლუას გარდაცვალების გამო სურათი და წერილი შემდეგ დაიბეჭდება.

— **რედაქციისაგან.** ტეხნიკური მიზეზით ბევრი მასალა შემდეგი ნომრისთვის გადაიდო. იუმორისტული განყოფილებაც შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

**შეცდომის გასწორება.** ჟურნ. „თ. ც"-ის მე-14 (17) ნომერში დაბეჭდილ ამხ. კოსტენკოს ლექსში („Ворота очарования") შეპარულია შემდეგი შეცდომები: 1) სწერია: свято стоят, უნდა იყოს: святость таят. (მე-7 სტრიქ. ზევ.), 2) სწერია слезы, უნდა იყოს: слез (მე-4 სტრიქ. ზევ.).

# სათეატრო მიმოხილვა

**რუსთველის თეატრში** აკადემიურმა დრამამ სეზონი დაიწყო 25/X ა. შანშიაშვილის ახალი პიესა „მათრახის პანაშვიდი"-თ. კარგები იყვნენ: გ. დავითაშვილი, (თანდილა), თამ. ჭავჭავაძე (ნენე), ალ. ჟორჟოლიანი (მოურავი), განსაკუთრებით ტიპიური იყო ვასაძე (ციბო), ნინო დაკითაშვილი (დედა), უ. ჩხეიძე (ელიზბარი), პ. კორიშელი (მათია), ვარდოშვილი (ელიბო), ბაბულია (დონაური), ბატონი (დავ. ჩხეიძე), საერთოდ ყველა თავის ადგილას იყო. მოსაწონია დეკორაცია, ესალბად ირ. გამრეკელს მიეწერება. ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ ამაზე სხვა დროს. სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელობს კ. მარჯანიშვილი, რეჟისორია ალ. ახმეტელი.

ამავე დასის მიერ წარმოდგენილ იქნა ა. შანშიაშვილის „ლატავრა" (დაბეჭდილია). პიესა უფრო სიმბოლიურია, მოქმედება დროისა და გარემოების გარეშე. აქ ნახევრად ისტორიული (ქართული) მორთულება ვერ ეგუება ხშირად თანამედროვე ლექსიკონით ლაპარაკს.

მოკლე ხანში წარმოდგენილ იქნა უ. შექსპირის კომედია „ვინძორის ცელქი ქალები", თარგ. მ. ვ. ჯამბ.-ორბელიანისა. დადგმულია მარჯანიშვილისებურად: დანარჩენი პიესები უკვე ცნობილია: „მალშტრემ, „ცხვრის წყარო", „ინტერესთა თამაში" და სხვ. ი. ზ.

—

**სახელმწიფო ოპერამ** განსაკუთრებულის ხელოვნებით იგლოვა თვისი დამამშვენებელის ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალება. სხვათა შორის, შაბათს, 22 ნოემბერს მისი ხსოვნის პატივსაცემლად დადგმულ იქნა „აბესალომ და ეთერი", რომლიდანაც აბესალომი (ვანო რომ ასრულებდა ხოლმე), როგორც მომქმედი პირი, გამოკლებული იყო: ვანო-აბესალომის მაგიერ სცენაზე შუქი ანათებდა, ხოლო სიმღერას ვიოლონჩელი ჰკვნესოდა (კოპელნიცკის თითებით). და ეს სურათი, ეს ჯადო-რეჟისორული გამოგონება (კ. მარჯანიშვილის მიერ) რამდენად თავისებური იყო, დიდებული, იმდენად ნაღვლის გამომწვევი: მშვენიერ დადგმას რაღაც სევდის ჩრდილი ეფინა, მსმენელ მაყურებელთაგან ერთი ტაშიც არ ყოფილა. აქედან იგულისხმება თვით მომღერალნი რა გუნებაზე იქნებოდენ: გ. ვენაძის მშვენიერი მურმანი, მრავალის—მამამთავრიშვილის შეგრძნობილი ეთერი, ბალეტის თავისებურება და სხ., რომელთაც თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს, თითქოს კვალიც ვერ დასტოვეს მაყურებელზე. უკანასკნელ მოქმედებაში—მურმანისა და აბესალომის ცნობილ დუეტის (მურმან, მურმან) დროს, როცა აბესალომის მაგიერ ვიოლონჩელი აკვნესდება, ხოლო მურმანი შუქს შემღერის, თითქმის მთელი დარბაზი აცრემლდა: სცენაზე სჩანდა ძვირფას ვანოს სიცოცხლის **შუქი** და მურმანი. ბევრმა ამ სურათის ბოლომდე ცქერა ვერ შესძლო და დარბაზიდან გავიდა, ეგოდენ ამაჩუყებელი იყო სანახაობა და მოგონება. კ. მარჯანიშვილსა და ა. ახმეტელს თავისებური ელფერი შემოუტანიათ, ოპერაში ახალი ძალები სჩანან. სახ. არტისტი ვანო ფალიაშვილი თავისებური ოსტატობით ჰლოტბარობდა. აუარებელი საზოგადოება დაესწრო. **უსავანი.**

—

**ქართული ოპერა** 26 ნოემბერს. ახალს გამარჯვებას დღესასწაულობდა. დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი". პირველ მოქმედების დასაწყისში, როდესაც გარედან სიმღერა მოისმის, მთელი დარბაზი უჩვეულო, საამო, ზეალმტაცი ხმით მოიხიბლა: სიმღერა თანდათან ძლიერდებოდა. ბოლოს სცენაზე გამოჩნდა ახოვანი ჭაბუკი—მალხაზი და ასტყდა ტაში. დამსწრეთა მთელი ყურადღება ამ ახალგაზრდისაკენ იყო მიპყრობილი. ხალხი სულგანაბული უსმენდა. დაიწყო ბეწვის ხიდი—„თავო ჩემო ბედი არ გიწერია", შემოსძახა, მაგრამ რა დათაფლულ-დაშაქრული ხმით, რა მშობლიური ჰანგით: არც ერთი ამოსუნთქვა, არც ერთი ამოთქმა უცხო არ ერია. საზოგადოებით გაჭედილმა დარბაზმა ერთსულოვანი ტაში შეაწია, ფარდის ჩამოშვებისას—ერთხმივ ორ-სამ გზის გამოიწვია და ამით დაადასტურა მისი ბრწყინვალე გამარჯვება. „თვალხუჭულმა რომ უსმინო, ვანო (სარაჯიშვილი) წარმოგიდგებათო".

ვინ არის ეს ახალგაზრდა?—ფშაველი მწყემსის შვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, მეურნე—მასწავლებელი. სწავლა მიუღია სამეურნეო სასწავლებელში, სამუსიკო განათლება—ტფ. სამუსიკო კონსერვატორიაში (რიადნოვის ხელმძღვანელობით, ახლაც მისი მოწაფეა). ხმის გარდა ყურადღებას იპყრობს მისი აგებულება, სამსახიობო მიმოხვრა, თუმცა ამ მხრივ გაწრვთნა-გამალაშინება ეჭირვება. მას უეჭველად დიდი მომავალი აქვს, ოღონდ მუშაობა, ხმის მოვლა და თავის გაფრთხილება ჰმართებს. როგორც შევიტყვეთ, მომზადებული ჰქონია აბესალომიც, რომელსაც ამ მოკლე ხანში იმღერებს. გ. ვენაძე (კიაზო) დღემდე ვითარდება, წინ მიიწევს და ღირსეულ მსახიობთა რიგებს ამშვენებს. აღსანიშნავია პოპოვა და ნეიმანი, აგრეთვე ისეცკი და თუმანიშვილი, როგორც თავისი როლების მშვენიერი ამსრულებელნი. გუნდს და მოცეკვავეთა შემადგენლობას მადლიანი ხელი ეტყობა. საუცხოვოა მხატვრუ. მხარეც (კ. მარჯანიშვილისა). ეს ოპერა ამ შემადგენლობით არა ერთგზით აავსებს თეატრს.

ი. ზ.

რედაქტორი: კოლეგია.
რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.**

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-სი, საშა წულუკიძის ქ. № 4. ნ. დ. მთავლიტი № 2095. ტირაჟი 1500.